საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 8 მარტი. 2023 წ. №27 (9559) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყეილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკალრისიბაგზე ესაძაგლესია.

ევროპაში ჩვენ მასპინძლები ვართ!

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა IBT BERLIN 2023-ის გახსნის ღონისძიებაზე

იხ. 2-3 გვ.

ძვირფასო მეგობრებო, მოგესალმებით!

მივესალმები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერს რობერტ ჰაბეკს, ბერლინის მერს ფრანციზკა გიფაის, „მესე ბერლინის“ ხელმძღვანელს დირკ ჰოფმანს, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) გენერალურ მდივანს და ჩემს მეგობარს ზურაბ პოლოლიკაშვილს, მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) დირექტორს ჯულია სიმპსონს.

ჩვენთვის დიდი პატივია, გიმასპინძლოთ საქართველოს სახელით.

კავკასიის რეგიონში, ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე მდებარე ჩვენი ქვეყანა ათასწლეულების განმავლობაში მრავალი ცივილიზაციის ეპიცენტრი, დიდი იმპერიების სამიზნე, ხშირად – მათ შორის დავის საგანი იყო. აქ კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდია წარმოდგენილი. იგი ყალიბდებოდა და იცვლებოდა მუდმივ ბრძოლაში, განვითარებისა და თავისუფლებისკენ სწრაფვაში, და ამავე დროს, სხვა კულტურებთან აქტიურ ურთიერთქმედებაში; სწორედ ამ კულტურათა თანამშრომლობამ წარმოშვა საქართველოში ის ინტერკულტურია, ტოლერანტული ბუნება, რომლითაც ასე ვამაყობთ ქართველები. საქართველო გამორჩეულია თავისი ბუნებითაც. ძნელად მოიპოვება ტერიტორია, სადაც მსგავსი ბუნებრივი მრავალფეროვნება და უწყვეტი კულტურაა. ამ მცირე ტერიტორიაზე არის დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ზონა დაწყებული სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მარადი თოვლისა და მყინვარების ზონით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზინა და მარე „აგენტების“ საპასუხოდ!

6 მარტს, როცა მსოფლიოს 180 ქვეყნის წარმომადგენელი ბერლინში ქართულ კულტურას, ისტორიას, დღევანდელობას, ბოლო წლების რეფორმებს გვიქებდა, თბილისში მოკალათებული ოპოზიციური მანქურთების ერთი ჯგუფი ახალ ჯოჯოხეთს – ნაცისტურ რევოლუციას გვიანონსებდა და ქართველი ხალხის თვალის ასახელად ასე აუცილებელი „აგენტების“ კანონპროექტის დასამარებას აგრძელებდა!

უცხო ქვეყნების აგენტების და ლობისტების შავი ფულებით ნაყიდო თაღლითო დეკანოიძეებო, სამადაშვილებო, კორძაიებო, გოგოლაშვილებო, ტუღუშებო, ბურჯანაძეებო, ბერძენიშვილებო, ვაშაძეებო, ხოშტარიებო, ბოკერიებო... ავადმყოფო სიტყვითმკვლელებო, დაანებეთ თავი ქართველი ხალხის სახელით უსინდისო ტყუილების ფრქვევას!

ჭეშმარიტმა ევროპამ და ევროპელებმა უკვე დაინახეს, თუ ვინ არის საქართველოს ნამდვილი გულშემატკივარი და გადამრჩენელი.

ჩვენ ძირძველი ევროპელები და ახლა უკვე მასპინძლებიც ვართ!..

ნომადი ბართაია:

დავით აღმაშენებლის უცნობი დამსახურების შესახებ ქართველი ერის წინაშე,

რომელიც არანაკლებია დიდგორის გამარჯვებაზე

აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტის, პროფესორის, პოეტისა და მთარგმნელის, მრავალი ლიტერატურული პრემიისა და ჯილდოს მფლობელის ნომადი ბართაიას ნაშრომში ახლებურად არის დანახული მოვლენები ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებისა და „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობასთან დაკავშირებით.

დამკვიდრებული აზრის მიხედვით, ქართული საერო მწერლობა წარმოიშვა ეროვნულ ნიადაგზე. გამოკვლევის ავტორის აზრით კი ის ნაყოფია სპარსულ-მუსლიმურ და ქართულ-ქრისტიანულ კულტურათა, ანუ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული ცივილიზაციათა დიალოგისა, რომელსაც გვირგვინად დაედგა „ვეფხისტყაოსანი“ და რომელიც მოხდა დავით აღმაშენებლის წყალობით.



ნომადი ბართაია, როგორც ირანისტი, მუშაობს ქართულ-ირანულ ლიტერატურულ-ენობრივ ურთიერთობათა მიმართულებით, რა მხრივაც არაერთი წიგნი თუ გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული. წინამდებარე ნაშრომიც ერთ-ერთი მათგანია.

იხ. 6-7 გვ.

დავით აღმაშენებელი – 950

ლევან იოსელიანი სახალხო დამცველია

პარლამენტმა სახალხო დამცველად ლევან იოსელიანი აირჩია. კენჭისყრის შედეგად, ლევან იოსელიანის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 96-მა დეპუტატმა, წინააღმდეგ არც ერთი წავიდა. ლევან იოსელიანი სახალხო დამცველობის კანდიდატად პარტია „მოქალაქეებმა“ წარადგინა.

მადლობა ყველას, ვინც ნდობა გამომიცხადეთ, მე გავაკეთებ ყველაფერს, რომ გავამართლო ის პოზიცია, რომელსაც ჰქვია ძალიან საპატიო სახელი – სახალხო დამცველი – თქვა ლევან იოსელიანმა და დასძინა, რომ ყველას დამცველი იქნება.

გიორგი ლეონიძე:

კაცებო, ქალებს გაუფრთხილდით

კაცებო, ქალებს გაუფრთხილდით,
გული ფიანდაზად გაუშალეთ,
შუბლზე გაჩენილი ნაოჭები
ნაზი მოფერებით წაუშალეთ.

ქალებს შვლის ნუკრივით გაუფრთხილდით,
მადლი ხელის გულზე მოუყარეთ,
ქალებს დაულოცეთ ქალობა და
ბაღის ყვავილივით მოუარეთ.

8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა, გილოცავთ!

თორემ სხვა ძალაა ქალის ძალა,
ქალი ათასგვარად გადაგაქცევს,
ქალი აგატირებს, ქალი დაგაჩოქებს,
წამოგაყენებს და ისევ კაცად გაქცევს.

ხოდა, ამ საუნჯეს გაუფრთხილდით,
გული ფიანდაზად გაუშალეთ,
შუბლზე გაჩენილი ნაოჭები
ნაზი მოფერებით წაუშალეთ.

ЕВРОПАШИ ЩВЕН МАСПИНДЗЛЕБИ ВАРТ!

(პირველი გვერდიდან) ასეთ გარემოსა და ისტორიულ პროცესში ჩამოყალიბდა ქართული – ტოლერანტული, ყველა კულტურისა და განსხვავების პატივისმცემელი ჩვენი იდენტობა და კულტურა, ქართველი ადამიანის ხასიათი.

ძალიან ცოტა ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორია და მრავალათასწლიანი ეროვნული კულტურა აქვს. ეს კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია და თავად კაცობრიობასავით ძველია.

დიახ, ჩვენი ისტორია უხსოვარ დროში იწყება. ევრაზიის ტერიტორიაზე ადამიანის უძველესი წინაპარი საქართველოშია აღმოჩენილი. ალბათ ყველას გსმენიათ **Homo Georgicus**-ის, პირველი ევროპელების შესახებ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე თითქმის ორი მილიონი წლის წინ ცხოვრობდნენ და სათავე დაუდეს თანამედროვე ევროპის მოსახლეობას.

ქართველ ერს ყოველთვის ჰქონდა მჭიდრო კავშირი მახლობელი აღმოსავლეთისა თუ შუამდინარეთის ძველ ცივილიზაციებთან. ქართული პოლიტიკური ერთეულების უძველესი მოხსენიება ასურულ წყაროებში გვხვდება. ქართული სამეფოები კოლხეთი, დიაოხი, იბერია მსოფლიო ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ანტიკურ ეპოქაში ჩვენ მაშინდელი დასავლური ცივილიზაციის მნიშვნელოვანი კერა ვიყავით; „ოქრომრავალი კოლხეთი“ – ასე იხსენიება კოლხეთი უძველეს წერილობით წყაროებში ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქების გვერდით, როგორებიცაა მიკენი, ბაბილონი, ათენი. ძველ კოლხეთში ყვაოდა ფილოსოფია; ფაზისის ფილოსოფიური სკოლის შესახებ, სადაც თვით ბერძნებიც იღებდნენ განათლებას, თავად ძველი ელადის ფილოსოფოსები მოგვითხრობენ.

არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფენ კავშირს ოქროს საწმისის ელინურ მითსა და რეალობას შორის; ამ კავშირში ეჭვი არ ეპარებოდათ ჯერ კიდევ ძველ ბერძენ ისტორიკოსებს. სწორედ კოლხეთის, როგორც ოქროს საწმისის ქვეყნის წყალობით დაიმკვიდრა პირველად საქართველომ თავისი ღირსეული ადგილი ევროპულ კულტურაში: კოლხეთში არგონავტების ლაშქრობას ეძღვნება ბერძნული მითოლოგიის მთელი ციკლი, ხოლო ბერძნული მითები არის ის მთავარი წყარო, რომელმაც დასაბამი მისცა ჯერ ანტიკურ, ხოლო შემდგომ ევროპულ კულტურას.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, საქართველო გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე მდებარეობდა და მის კონტინენტთაშორის შემაერთებელი ხიდის ფუნქციას სძენდა აბრეშუმის გზა; საქართველოში ერთმანეთს ხვდებოდა ევროპა და აზია, აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციის ნაკადები. ქვეყანა ამ ორი სამყაროს კულტურათა თვითმყოფად ნაზავად იქცა.

მოგვიანებით, ანტიკურ საფუძველზე, ჩვენ ერთ-ერთი პირველნი ვამკვიდრებდით ქრისტიანობას, რომელიც თანამედროვე ევროპის უმთავრეს ღირებულებით საფუძველს წარმოადგენს; ჩვენმა ქვეყანამ ერთ-ერთმა პირველმა აღიარა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად, ხოლო მეოთხე საუკუნეში უკვე ქართულად იყო ნათარგმნი სახარება.

ჩვენი ისტორიის ოქროს ხანის კულტურა, ქართული რენესანსი, შუა საუკუნეებში აგრძელებდა იმ უზენაესი იდეალების დამკვიდრებას, რომელთაც დღევანდელი ევროპა აღიარებს ფუძემდებლურად;

საქართველოს ჰყავდა გამორჩეულად საამაყო მეფე, დავით აღმაშენებელი, რომლის დიდი ძალისხმევისა და გონივრული პოლიტიკის შედეგად XII საუკუნეში საქართველომ არნახულ ძლიერებას მიაღწია. ევროპაში იყო გავრცელებული ლეგენდა პრესვიტერ იოანე ხუცესის შესახებ, ამ ლეგენდარულ პერსონაში სწორედ ქართველი მეფე დავით აღმაშენებელი იგულისხმებოდა.

მისი მმართველობის დროს საქართველოში მსოფლიოში ცნობილი მანგანის აკადემიის ანალოგიით ორი დიდი აკადემია შეიქმნა – გელათის და იყალთოს აკადემიები, რომლებიც აღმოსავლურ უნივერსიტეტებს წარმოადგენდნენ.

XII საუკუნეში საქართველოს მართავდა აღმაშენებლის მემკვიდრე თამარი, თამარ მეფე – კეთილგონიერებითა და სიბრძნით გამორჩეული ქალი, რომელიც არა დედოფლად, არამედ მეფედ იწოდებოდა. სწორედ მისი მმართველობის დროს გაჩნდა მსოფლიოში პარლამენტის ერთ-ერთი პირველი ჩანასახი; ამ ეპოქის ნაყოფია ჩვენი არქიტექტურისა და ხელოვნების მრავალი შედევრი, მათ შორის, პოეტური ხელოვნების ერთ-ერთი მწვერვალი, რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში განსაზღვრავს ქართველთა მსოფლმხედველობას.

ენა, რომელზეც ეს უკვდავი ქმნილებაა დაწერილი, ერთ-ერთი უძველესია დღეს არსებულ ენათა შორის; ამ ენას ჩვენ დედა-ენას ვუწოდებთ, რადგან სწორედ იგია ჩვენი იდენტობის უმთავრესი საფუძველი, საიდანაც ქართული სული, ქართველის თვითშეგნება და მსოფლმხედველობა იბადება.

ასევე უძველესია ქართული დამწერლობა – ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და უნიკალური, რომელსაც ძველი წელთაღრიცხვით III საუკუნეში ფარნავაზ I-მა მისცა საბოლოო სახე, თუმცა ზოგიერთი ცნობებით, ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნიდან არსებობდა; ჩვენი დამწერლობის უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია როგორც საქართველოში, ისე, მის ფარგლებს გარეთ. ქართული ანბანი მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად სამი სახის დამწერლობად ჩამოყალიბდა, რომელიც იუნესკომ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარა.

ჩვენ მცირერიცხოვან, მაგრამ წარსულით ამაყ, თავისუფლების მოყვარე, დაუმარცხებელ ქართველ ერს წარმოვადგენთ.

ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი, და, ამავე დროს, კაცობრიობის კულტურული მონაპოვარია მრავალხმიანი სიმღერა; ქართულ პოლიფონიაში განსახიერებულია ადამიანის ყველაზე დიდი ღირსებები: თითოეული ინდივიდის თავისუფლება და უნიკალურობა და, ამავე დროს, სხვისადმი პატივისცემა, სოლიდარულობა და ჰარმონიული თანაცხოვრებისკენ სწრაფვა.

ალბათ, ქართული სული ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს

ჩვენს ცეკვებში, რომელიც ათასწლეულებში იღებს სათავეს. ყველა კუთხეს მისთვის დამახასიათებელი შრომის, ბრძოლისა თუ ყოფითი ქორეოგრაფია აქვს, და ყველა მათგანი სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარულითაა განმსჭვალული.

სიმღერასთან, ცეკვასთან, ურთიერთობის ტრადიციებთანაა დაკავშირებული ქართული სუფრა – ჩვენი ყოველდღიური კულტურის, სოციალური ყოფის განუყოფელი ნაწილი. ქართული სუფრა უნიკალურია მთელ მსოფლიოში და დემოკრატიული საზოგადოების პირველ ჩანასახად შეიძლება ჩაითვალოს. იგი თანასწორი ურთიერთობების, საჯარო მსჯელობის, ტრადიციების გაგრძელებისა და, ხშირად, ახალი ტრადიციების დაბადების ადგილია. ამ უძველესი ტრადიციის წესები, რაც ვანში (დასავლეთ საქართველოში) აღმოჩენილი არქეოლოგიური ნიმუშებით დასტურდება, დღესაც ცოცხალია ჩვენს ყოველდღიურობაში.

და, რა თქმა უნდა, სუფრასთანაა დაკავშირებული ქართული ღვინის მირთმევის კულტურაც. ალბათ ყველა თქვენგანი იცნობს საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს.

ჩვენ ვამაყობთ ამ ღვთაებრივი სასმლის დამზადების რვაათასწლოვანი უწყვეტი ტრადიციით, რაც არქეოლოგიური აღმოჩენებით დასტურდება. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება აღიარებს, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი, დათარიღებული 8 ათასი წლით სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, საიდანაც ის შემდეგ გავრცელდა მთელ მსოფლიოში და უდიდესი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის, ხალხთა კულტურის, ბიოლოგიის, მედიცინისა და, ზოგადად, ცივილიზაციების განვითარებაზე.

სწორედ ამიტომ გამოცხადდა იუნესკოს მიერ ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიცია მსოფლიო არამატერიალური კულტურის ძეგლად.

საქართველოში ითვლიან 500-ზე მეტ ადგილობრივ უძველეს ჯიშს, რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს მოიცავს. ღვინის ქვეყანაში, ისტორიულად, თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა საკუთარი მცირე მარანი. ვაზი და ღვინო საღმრთო, რიტუალურ, რელიგიური კულტის დონემდე იყო აყვანილი იმდენად, რომ სამშობლოს ყველაზე მაღალ ეპითეტად ვენახთან შედარებას იყენებდნენ; ქებათა-ქება ვაზისადმი – „შენ ხარ ვენახი“, სა-

გალობლად და ერთგვარ ეროვნულ ჰიმნად იქცა. ეს არის ლოცვა ქართველი კაცისა, ვისთვისაც მამული, ვაზი და ვაზის ლერწით შეკრული ქართველთა გამაქრისტიანებელი ჯვარი ერთ სიმაღლეზე დგას. ქრისტიანობის ისტორიამ არ იცის მსგავსი და თან უფრო პოეტური ფორმა ქრისტეს სჯულზე მოქცევისა.

ვამაყობ, რომ მქონდა პატივი, ხელი მომეწერა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე (DCFTA), რომელმაც გაზარდა ქართული ღვინის ცნობადობა და მოთხოვნა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული მეღვინეობის სექტორი კიდევ უფრო განვითარდა, რაც 8 000 წლის წინ დაწყებული ისტორიის ღირსეული დღევანდელი დღეა.

მდიდარ ტრადიციებზე იზრდებოდა, ეფუძნებოდა და აგრძელებდა თანამედროვე საქართველოს შემოქმედი ყველა თაობა – ჩვენი დიდი განმანათლებლები სულხან-საბა და ვახტანგ მეექვსე, დიდი რეფორმატორი და ევროპული მოდერნიზაციის მოთავე მეფე ერეკლე II, მოგვიანებით – ილია ჭავჭავაძე. ევროპული საგანმანათლებლო სისტემის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც 1918 წელს კავკასიაში ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტი დააფუძნა. ის გახდა ქართველ ინტელექტუალთა ევროპასთან დამაკავშირებელი ხიდი.

ამ ტრადიციების პირმშოა ქართული მეცნიერება, მსოფლიო კულტურის საგანძურის ნაწილია თანამედროვე ქართული თეატრი, კინო, საოპერო და საბალეტო ხელოვნება, სახვითი ხელოვნება, მწერლობა და პოეზია.

სამართლიანად ვამაყობთ 1918 წელს საქართველოს პირველი რესპუბლიკის მონაპოვრით, რომლის კონსტიტუცია მსოფლიოში ერთ-ერთ სანიმუშო სახელმწიფოებრივი მოწყობის მთავარ დოკუმენტად ითვლება, პროგრესული დემოკრატიული წყობით, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა გააუქმა სიკვდილით დასჯა, დაადგინა სიტყვის, გამოხატვისა და რწმენის თავისუფლება, განამტკიცა ეროვნულ უმცირესობათა უფლებები. დაადგინა ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკური, სამოქალაქო, ეკონომიკური თანასწორობა.

მინდა აღვნიშნო, რომ 1918 წელს სწორედ გერმანია იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც დე ფაქტო აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო 1992 წელს ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

გვეამაყება ისიც, რომ ევროპის ერთიანობის იდეის ერთ-ერთი ავტორი, ევროკავშირისა და მისი კონსტიტუციის თანაშემოქმედი ჩვენი თანამემამულე – მიშელ მუსხელიშვილი იყო.

ვფიქრობ, ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ ქართველები არა მხოლოდ ნაწილი, არამედ – თანაშემოქმედნი ვიყავით თანამედროვე ევროპული ცივილიზაციისა.

შეუძლებელია, აღნიშვნის გარეშე დავტოვო საქართველოს უნიკალური ბუნება. ჩვენი ბუნებრივი საგანძურის ხილვა გულგრილს ვერავის ტოვებს – საქართველოს ჭარბტენიანი ტერიტორიები, UNESCO-ს გადაწყვეტილებით, მსოფლიოს 213 ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხას დაემატა და ღირსეული ადგილი მოიპოვა ამაზონის ტყის, გრანდ კანიონის ეროვნული პარკის, იელოუსტოუნის ეროვნული პარკის, მთა ეტნას, შვეიცარიის ალპების გვერდით. არცთუ დიდ ფართობზე, ჭარბტენიან ტერიტორიებთან ერთად, საქართველო თავს იწონებს მაღალი მთის უნიკალური ეკოსისტემებით (ყაზბეგი, თუშეთი, ხევსურეთი), ნახევრად უდაბნო ვაშლოვანით, სადაც შექმნილია ბიორეზერვატები. საქართველოს ტერიტორიაზე (ჯავახეთი და შავიზღვისპირეთი) გადის ფრინველთა საემიგრაციო გზა, რომელიც თავისი მნიშვნელობით მსოფლიოში მესამეა.

სწორედ ამიტომ, საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 12% დაცულია. დაცული ტერიტორიების ისტორია საქართველოში ლაგოდეხის ნაკრძალის შექმნით, 110 წლის წინ იწყება. ბუნებრივი სიმდიდრის დაცვა აქტიურად გრძელდება, რასაც დღეს, კლიმატის ცვლილებით შექმნილი გამოწვევის ფონზე, კიდევ უფრო დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ᲓᲦᲔᲡ, ᲐᲥ, ᲐᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ. ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ ᲒᲐᲒᲘᲩᲔᲜᲗ, ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲔᲬᲕᲘᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲔᲗ ᲒᲐᲘᲪᲜᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲬᲐᲠᲛᲢᲐᲪᲘ ᲒᲣᲜᲔᲑᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ – ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ, ᲒᲣᲚᲦᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲓ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗᲛᲗᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ.

ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲕᲣᲗᲮᲠᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲡ, ᲙᲝᲠᲣᲛᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲭᲙᲣᲐᲡ ᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲐᲦᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲗ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲦ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ

...ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲛᲝᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲝ, ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐᲡ, ᲠᲘᲗᲘᲪ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ, ᲛᲐᲗᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲗ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ, ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲐᲒᲠᲐᲕᲓᲐ, ᲙᲚᲐᲕᲓᲐ, ᲐᲬᲔᲛᲓᲐ ᲐᲛᲘᲗᲐᲛᲔᲑᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲒᲘᲖᲜᲔᲡᲡ ᲐᲢᲔᲠᲝᲠᲔᲑᲓᲐ, ᲘᲧᲝ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲮᲨᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ.

ᲘᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲐ ᲠᲔᲟᲘᲛᲛᲐ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ, ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ, ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ ᲐᲛᲑᲔᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲒᲘᲖᲜᲔᲡᲡ ᲐᲢᲔᲠᲝᲠᲔᲑᲓᲐ, ᲘᲧᲝ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲮᲨᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ.

ᲘᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲐ ᲠᲔᲟᲘᲛᲛᲐ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ, ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ, ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ, ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲛᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲒᲖᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲛᲑᲐᲡ, ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲠᲒᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲝᲪᲕᲐ. ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ, ᲛᲐᲗ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲩᲕᲔᲜ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘ, ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ, ᲔᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ, ᲐᲒᲔᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐᲗ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ.

ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲕᲣᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲡ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲠᲑᲘᲔᲡ, ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲛᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲛᲘᲘᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲡ. ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲛᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲒᲖᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲛᲑᲐᲡ, ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲠᲒᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲝᲪᲕᲐ. ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ, ᲛᲐᲗ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲩᲕᲔᲜ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ, ᲐᲠᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘ, ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜ ᲕᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲜᲣ ᲨᲔᲔᲪᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐᲡ.

ᲔᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲕᲣᲗᲮᲠᲐ ᲘᲛ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲙᲝᲠᲣᲛᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲭᲙᲣᲐᲡ ᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲫᲐᲚᲐᲓᲔ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ!

...ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲝ „ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲖᲔ. ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲐ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ „ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲡ“ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ Ე.ᲬᲓ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ „ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲛ“ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ Ე.ᲬᲓ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔ ᲐᲛᲘᲮᲡᲜᲔᲡ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲘᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲰᲧᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲐ-ᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ Ე.ᲬᲓ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ „ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲛ“ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ Ე.ᲬᲓ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔ ᲐᲛᲘᲮᲡᲜᲔᲡ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲘᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲰᲧᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲛᲕᲘᲜᲔᲗ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲡᲔᲪ ᲐᲠᲘᲡ.

ᲘᲥ, ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲚᲐᲘᲢᲛᲝᲢᲘᲕᲐᲓ ᲒᲐᲡᲓᲔᲕᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ – ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗᲛᲗᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ.

ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ – ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲐᲛ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗᲛᲗᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲐ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ – ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ – ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲐ. ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲣᲤᲚᲘᲡᲐ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲔᲢᲔᲑᲐᲗ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ, ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ „ᲡᲢᲣᲛᲐᲠ-ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲘ“ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡ, ᲓᲐᲣᲬᲔᲠᲔᲚ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲡ.

ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗᲛᲗᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲒᲘ ᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲐ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲔᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲒᲐᲛᲥᲠᲐᲚᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲠᲗᲣᲚ, ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲔᲑᲨᲘᲪ ᲙᲘ.

ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲒᲒᲝ – ᲩᲕᲔᲜ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ, ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ, ᲒᲛᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ. ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲐ.

* * *

ᲛᲡᲣᲠᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲐ ᲒᲐᲓᲐᲒᲘᲮᲐᲓᲝᲗ ᲛᲝᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ: ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲔᲠᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲡᲬᲠᲐᲤᲕᲘᲡᲐᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲒᲕᲘᲛᲐᲒᲠᲔᲑᲡ ᲖᲣᲠᲒᲡ.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ 20% ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲒᲐᲡ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲜᲔᲒᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ. ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲠᲘᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲐᲓ. ᲓᲦᲔᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲛ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲤᲐᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲘᲡᲔ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲕᲐᲠᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲗᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲐᲡᲐᲓᲠᲝᲡ; ᲐᲮᲚᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲘᲛᲘᲡᲙᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲣᲙᲐᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲡᲣᲠᲡ, ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲣᲮᲐᲓᲝ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ, ᲕᲘᲪᲔ-ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠᲡ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲡ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲮ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲖᲔ.

**ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠ

„ამერიკის ბარის ასოციაციის“ იურისტი მეთიუ სანდერსონი, რომელიც შეერთებულ შტატებში „ფარას“ რეფორმირებაზე მომუშავე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იურისტია, ამერიკული კანონის არსს და მიზნებს განმარტავს. ის ამბობს, რომ რუსული კანონისგან განსხვავებით, 85 წლის განმავლობაში ამერიკაში „ფარა“ სამოქალაქო საზოგადოების არც ერთი ორგანიზაციის წინააღმდეგ არ ყოფილა გამოყენებული. სანდერსონი ამბობს, რომ კანონის ტექსტი რეალური ასლი რომც იყოს, თუ საერთო სურათის და ისტორიის გათვალისწინება არ მოხდება, ის სხვა ქვეყანაში ვერ იქნება ამერიკული კანონის ეკვივალენტი. „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ია მეურმიშვილი სანდერსონს ამერიკული „ფარას“ არსზე და მიზნებზე ესაუბრა.

როგორ მუშაობს „ფარა“ და ვინ არიან უცხოეთის აგენტები ამერიკაში?

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის განმარტება

შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი 1938 წელს მიღებულ უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტზე („ფარა“) ამბობს, რომ „უცხოური მთავრობები უწყვეტად ეწევიან ძალისხმევას, გავლენა იქონიონ ჩვენს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, კანონმდებლობაზე, დემოკრატიულ პროცესებსა და საზოგადოებრივ აზრზე. ეს მთავრობები ზოგჯერ ახდენენ ამ გავლენას ლობისტების, საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალების, ცნობილი მიზნესმენების ან აშშ-ის ყოფილი მაღალჩინოსნების დასაქმებით. ასეთი მცდელობები კანონიერია – თუ ისინი გამჭვირვალეა“.

კანონი სთხოვს უცხო ქვეყნის მთავრობების ან სხვა უცხოელი მმართველების სახელით მომუშავე პირებს, გაამჟღავნონ საკუთარი ურთიერთობები უცხოელ მმართველებთან და ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ. აგენტების წინააღმდეგ, რომლებიც უცხო ქვეყნის ინტერესების გატარების შემთხვევაში მიზანმიმართულად არ დარეგისტრირდებიან და დაარღვევენ ამ კანონს, შესაძლოა სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს.

ამ გავლენების თავიდან ასაცილებლად, „ფარა“ „ეხმარება ამერიკელ ხალხს და მათ არჩეულ ოფიციალურ პირებს გააცნობიერონ, თუ ვინ დგას სინამდვილეში ასეთი გავლენის მოქმედების უკან“.

საქართველოში ინიცირებული კანონპროექტი

„ხალხის ძალის“ მიერ საქართველოში ინიცირებული კანონპროექტი უცხოელი აგენტების შესახებ, მათი და მმართველი პარტია “ქართული ოცნების“ განცხადებით, ამერიკული „ფარას“ მსგავსია.

კანონპროექტის სპონსორები ასევე აცხადებენ, რომ ქართული კანონპროექტი ამერიკულის უფრო მსუბუქი „ნათარგმნი“ ასლია. ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება კი ამბობს, რომ კანონპროექტის ინიცირებით მთავრობა კრემლის სახელმძღვანელოდან იმეორებს იგივე ნაბიჯებს ქვეყანაში თავისუფალი აზრის ჩასახშობად. საქართველოს დასავლელი პარტნიორებიც მოუწოდებენ არ მიიღოს ეს კანონი, რომელიც რუსულს უფრო ჰგავს, ვიდრე ამერიკულს.

იურისტის განმარტება:

– ბატონო მეთიუ, დიდი მადლობა ჩვენთან სასაუბროდ დრო რომ გამონახეთ. თუ შეიძლება აგვიხსნათ, რას წარმოადგენს უცხო ქვეყნის აგენტის რეგისტრაციის აქტი შეერთებულ შტატებში. როგორ და რატომ დაიწყო ის და რა არის მისი მიზანი?

– უცხოეთის აგენტის რეგისტრაციის აქტი იგივე „ფარა“, შეერთებულ შტატებში მეორე მსოფლიო ომის წინ ამოქმედდა. პირველ რიგში მისი მიზანი იყო ნაცისტური და საბჭოთა პროპაგანდისტებისთვის საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება, რომლებიც აქტიურობდნენ მეორე მსოფლიო ომის წინ. კანონის მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამოავლინოს ისინი, ვინც შეერთებული შტატების პოლიტიკასა და საზოგადოებრივ აზრზე უცხო მთავრობების და პოლიტიკური პარტიების სახელით, გავლენის მოხდენას ცდილობენ.

მათ მოეთხოვებათ შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტში შეიტანონ ანგარიშები და მთავრობას მათი საქმიანობის შესახებ მუდმივად მიაწოდონ ინფორმაცია, სანამ არ დასრულდება ასეთი წარმომადგენლობა ან აგენტის სტატუსი. კანონი ამერიკაში უკვე 80 წელზე მეტია არსებობს, თუმცა მთავრობა მას მხოლოდ ეპიზოდურად იყენებს და ძალზე ფრთხილად აღასრულებს. ეს იმის გამო, რომ ხელი არ შეეშალოს კონსტიტუციის პირველ შესწორებას და სიტყვისა და ასოცირების თავისუფლებას. იმან, რომ ეს ძველი კანონია და ძალიან ზუნდოვნად არის დაწერილი, შეერთებულ შტატებში გარკვეული შეშფოთება გამოიწვია, რომ არ შეზღუდულიყო ადამიანის თავისუფლებები, მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის დეპარტამენტი კანონს ძალიან ფრთხილად აღასრულებს.

– თქვენ რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი ახსენეთ. ერთი არის აღსრულება. იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე ბოლო წლების რამდენიმე საქმეა მოცემული და თითოეული მათგანი ძალიან მასშტაბურია. შეგიძლიათ ცოტა მეტი ისაუბროთ „ფარას“ აღსრულების ასპექტზე?

– იუსტიციის დეპარტამენტი ცდილობს, გამოავლინოს ინდივიდუალური პირები, ლობისტური კომპანიები და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფირმები, რომლებიც მუშაობენ, ასე ვთქვათ, რადარის ქვეშ, ფარულად, სხვა ქვეყნის მთავრობის ან პარტიების ინტერესებიდან გამომდინარე იმ მიზნით, რომ შეცვალონ შეერთებული შტატების პოლიტიკა ან საზოგადოებრივი აზრი ქვეყანაში. არსებობს შემთხვევები, როდესაც ადამიანებს ავიწყდებათ დარეგისტრირება, ან განზრახ არ დარეგისტრირდნენ. ასეთ შემთხვევებში დეპარტამენტი მათ აიძულებს დარეგისტრირდნენ და მათ მიმართ სამართლებრივ დევნას არ იწყებს. თუმცა, თუ ეს დარღვევა მიზანმიმართულად ხდება, იუსტიციის დეპარტამენტმა მათ შეიძლება სასამართლოში უჩივლოს. ეს ძალიან იშვიათად ხდება და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური პირი ან ფირმა პოლიტიკურ კამპანიებს ფულს სწირავს, ან საქმე ეხება რაიმე ფულის გათეთრების რაიმე მასშტაბურ სქემას. როგოც წესი, „ფარა“ მაშინ ამუშავდება ხოლმე, როცა საქმე დანაშაულებრივ საქმიანობას ეხება.

– „ფარას“ ასევე აქვს კონტრდაზვერვის განზომილებაც, არა?

– დიახ, ასეა. „ფარა“ უბრალოდ გამოვლენისკენ მიმართული კანონმდებლობაა იმ მიზნით, რომ გამოავლინოს ძალისხმევა, რომელიც მაგალითად, ამერიკის საელჩოს, ან სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გვერდის ავლით, ცდილობს ამერიკის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას. ის არ ეხება ნებისმიერ საქმიანობას, არამედ, როგორც უკვე ვთქვი, ცდილობს გამოავლინოს ისეთი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს შეცვალოს ამერიკის პოლიტიკა, იქნება ეს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა და ასევე ცდილობს შეცვალოს შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი აზრი უცხო ხელისუფლების ან სხვა ქვეყნის პოლიტიკური პარტიის ინტერესებზე დაყრდნობით.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ კანონი ძალიან ფართო და ზუნდოვანია. ამის გათვალისწინებით, როგორ განსაზღვრავს შეერთებულ შტატების მთავრობა იმას, თუ რა არის საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის მცდელობა?

– ზოგადად რომ ვთქვათ, კანონი არ შეხებია იმ არაკომერციულ ან სხვა სუბიექტებს, რომლებმაც შეიძლება მიიღოს სახელმწიფო გრანტები საზღვარგარეთიდან. მოდით ვთქვათ, რომ მაგალითად, ევროკავშირი ფულს აძლევს ამერიკაში დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციას. მხოლოდ ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ კომპანიას „ფარას“ რეგისტრაცია მოეთხოვოს და მით უმეტეს, მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა დაიწყოს. მაგრამ, ეს საჭირო გახდება, თუ უცხოური მთავრობა ამერიკულ არასამთავრობო კომპანიას, ან ლობისტურ თუ პიარ ფირმას ფულთან ერთად კონკრეტულ ინსტრუქციებსაც აძლევს, რომ საზოგადოების მშენებლობაში მონაწილეობის ნაცვლად, ეცადოს კონკრეტული კანონპროექტების გატანას, ან ამერიკის მთავრობის გარკვეული ნაბიჯების გადადგმაზე დაყოლიებას, ან ფულის გადამხდელი მთავრობის ამერიკაში უფრო დადებითად წარმოჩენას. ასე რომ, მხოლოდ გრანტის ან დაფინანსების მიღება საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მარეგულირებელი ან სასამართლო ყურადღება მიექცეს.

– თუ შეიძლება, უფრო დეტალურად რომ აგვიხსნათ, რა ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მედია, უხცო ქვეყნის დაფინანსებას ან გრანტებს იღებენ? რა შემთხვევაში უნდა დარეგისტრირდნენ ისინი უცხო ქვეყნის აგენტად?

– იუსტიციის დეპარტამენტი კონკრეტულად ამბობს, რომ უცხო ქვეყნიდან მიღებული მხოლოდ დაფინანსება საკმარისი არ არის იმისთვის, რომ „ფარა“ ამოქმედდეს. ამის მთავარი მიზანი ის არის, რომ არ მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების სამიზნედ ქცევა, ან სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. მთავრობა ამ საკითხს ძალიან ფრხილად უდგება. თქვენ იცით, რომ „ბი-ბი-სი“უცხო ქვეყნის მთავრობის - დიდი ბრიტანეთის მიერ ფინანსდება, მაგრამ ამის მიუხედავად, მას უცხო ქვეყნის აგენტად დარეგისტრირება არ სჭირდება. საქმე სხვაგვარად უნდა იყოს, მაგალითად, როგორც ეს „არ-თის“ (ყოფილი „რაშა თუდეი“) და რუსეთის მიერ დაფინანსებულ სხვა ქსელებთან დაკავშირებით მოხდა. ეს არის ფულს პლუს სარედაქციო პოლიტიკა, როცა უცხო ქვეყნის მთავრობისგან მედიაში მოდის კონკრეტული საუბრის თემები და აქცენტები. ასეთ შემთხვევაში მედია ვალდებულია დარეგისტრირდეს და იგივე ეხება არასამთავრობო სექტორსაც – მხოლოდ ფულის მიღება არ არის რეგისტრაციის საფუძველი, თუ ფულს ინსტრუქციები არ მოჰყვება ამერიკის პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად.

– შეგიძლიათ, მოკლედ ისაუბროთ ლობირებაზეც? ლობირება, რა თქმა უნდა, ამ კანონდებლობის დიდი ნაწილია. გვითხარით, რით განსხვავდება ლობისტური საქმიანობა „რაშა თუდეის“ ან „სპუტნიკის“ საქმიანობისგან, რომლებიც ისევე უნდა დარეგისტრირდნენ, როგორც ლობისტები.

– ლობირებამ შეიძლება მოითხოვოს რეგისტრაციის გააქტიურება იმის გამო, რომ შესაძლოა ის ცდილობდეს შეცვალოს ამერიკის პოლიტიკა რაიმე მიმართულებით და ამისთვის აწარმოებს ლობისტურ საქმიანობას. ეს რეგისტრაციის ერთ-ერთი გზაა. მაგრამ „ფარა“ ცოტა უფრო ფართოა და ის პროპაგანდისტული ძალისხმევის გამოსავლენად უფროა მიმართული. რა თქმა უნდა, კანონი დიდი ხნის წინ დაიწერა და ძალიან ზუნდოვანია, მაგრამ ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტი ძალიან გულდასმით ცდილობს, არ მოხდეს ამ კანონის ზედმეტად გამოყენება სამოქალაქო საზოგადოების დასუსტების თავიდან ასაცილებლად. ეს საერთო სურათის მნიშვნელოვანი ნაწილია.

– უნგრეთსაც ჰქონდა მსგავსი კანონმდებლობა, რომელიც საბოლოო ჯამში შეიცვალა. საინტერესოა, რომ ყოველთვის, როცა ვინმე უცხო ქვეყნის აგენტის რეგისტრაციის კანონის მიღებას ცდილობს, ამერიკის უცხო ქვეყნის აგენტის კანონს მოიშველიებენ ხოლმე და ამბობენ, რომ მათი კანონი ამერიკულის მსგავსია. თუმცა, ისინი გამოტოვებენ ხოლმე იმ მნიშვნელოვან დამცავ მექანიზმებს, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, იქნება ეს ადამიანის უფლებების, სიტყვის თავისუფლების, პირველი შესწორების თუ სხვა დემოკრატიული პრინციპების დაცვა. გახსენდებათ თუ არა რაიმე შემთხვევა, როცა სასამართლომ იუსტიციის დეპარტამენტის საქმე არ მიიღო იმ მიზეზით, რომ ის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ, კონსტიტუციის პირველ შესწორებას არღვევდა?

– დიახ. ასეთი შემთხვევები არსებობს. ეს თემა უკავშირდება იმას, თუ რას მოითხოვს „ფარა“, რაც არის ის, რომ ის უწყებები დარეგისტრირდნენ, რომლებსაც რეგისტრაცია ეხება. „ფარას“ არ მოჰყვება განმეორებადი ჯარიმები ამ უწყებებისთვის. აგენტად დარეგისტირირების შემთხვევაში, არ არსებობს ამ სტატუსთან დაკავშირებული ჯარიმები. ეს არის კანონი – საქმიანობის გამოსამჟღავნებლად. ბოლო დროს იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სასამართლოებმა შეწყვიტეს ამერიკის მთავრობის მიერ შეტანილი საქმეები. მაგრამ ეს, როგორც წესი, ძალიან იშვიათია, რადგან იუსტიციის დეპარტამენტი ძალიან შერჩევითია სასამართლოში საქმეების გაგზავნაზე. როდესაც ასეთი საქმის გაგზავნა ხდება, ისინი მეტწილად, არა მედიის ან სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ არის მიმართული, არამედ კრიმინალური საქმიანობის აღკვეთისკენ, იქნება ეს ფულის გათეთრება, პოლიტიკურ კამპანიებში უკანონოდ ფულის შეწირვა და სხვა მსგავსი ტიპის საქმიანობა, რომელსაც შემდგომ სამართლებრივი დევნა მოჰყვება.

– „ფარას“ ერთ-ერთი განსაზღვრება ამბობს, რომ ის ეროვნულ უსაფრთხოებაზე მტრული გავლენების წინააღმდეგ არის მიმართული. თქვენ როგორ აფასებთ ამ განმარტებას?

– ვფიქრობ, რომ მოწინააღმდეგეების მიმართ პრიორიტეტი უფრო მაღალია. ვფიქრობ, შეზღუდული რესურსების პირობებში დეპარტამენტი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს მოწინააღმდეგე მთავრობებს, როგორიცაა ჩინეთი, როგორიცაა რუსეთი, რომლებიც შეერთებულ შტატებში მტრული მიზნებით მოქმედებენ.

– თქვენ ახსენეთ რუსეთი და ჩინეთი. რუსული კანონმდებლობის თანახმად, უცხო ქვეყნის აგენტები არიან რუსული სამოქალაქო საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომლებსაც ქვეყანაში დემოკრატია სურთ, ასევე დასავლური მედია-სუბიექტები. რას იტყვით რუსულ და ამერიკულ კანონმდებლობას შორის არსებულ განსხვავებებზე და მსგავსებაზე?

– შეერთებული შტატების უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტის შექმნის ფუნდამენტური მიზანი ის არის, რომ აცნობოს საზოგადოებას უცხოური მთავრობების და პოლიტიკური პარტიების მიერ, მათზე გავლენის მოხდენის მცდელობის შესახებ. მისი სამიზნე არასდროს ყოფილა სამოქალაქო საზოგადოება. რამდენადაც მე მესმის, ამ კანონის რუსული ვერსია, მისი მიზანი სწორედ სიტყვის თავისუფლებისა და იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ მოქმედებაა, იმ ორგანიზაციების, რომლებიც ცდილობენ, რუსეთში დემოკრატია გააძლიერონ.

– რამეს ხომ არ დაამატებდით ისეთს, რაზეც აქამდე არ გვისაუბრია და თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია ამ დისკუსიისთვის?

– უბრალოდ ვიტყოდი, რომ შეიძლება არსებობდეს მცდარი მოსაზრება, რომ თუ კანონმდებლობის ტექსტი იგივეა, ან გარკვეულწილად ჰგავს შეერთებული შტატების კანონს, ის ვერ იქნება მისი ეკვივალენტური თუ არ მოხდა მთლიანი სურათის და კანონის ისტორიის გათვალისწინება. ამასთან იმისიც, რომ ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტი ძალიან შერჩევითია სასამართლოში საქმეების გაგზავნის თვალსაზრისით და ამას სწორედ სიტყვის თავისუფლებისადმი და სამოქალაქო საზოგადოების სიჯანსაღისადმი მგრძნობელობით აკეთებს.

– ამასთან ერთად, ამ უფლებების დაცვაზე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემაც ზრუნავს, არა?

– დიახ, სწორედ ასეა.

ია მეურმიშვილი,
„ამერიკის ხმა“

პრეზიდენტის გზავნილები ნიუ-იორკიდან

კანონპროექტი, რომელიც არასამთავრობოების თავისუფლებას შეზღუდავს, საზიანო იქნება დემოკრატიული ტრანსფორმაციის, გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ევროინტეგრაციის გზისთვის

ზოგიერთი ჯგუფის მიერ წარდგენილი კანონპროექტი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების თავისუფლებას შეზღუდავს, უკიდურესად საზიანო იქნება ჩვენი საზოგადოების დემოკრატიული ტრანსფორმაციის, გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ჩვენი ევროინტეგრაციის გზისათვის, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ნიუ-იორკში, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის 67-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ახლახან გაჩნდა კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების როლს ეხება და რომელიც მისი ჭეშმარიტად ტრანსფორმაციული ფუნქციის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმთავრესია, რათა ქალთა ხმა უკეთესად იყოს გაგონილი. ამ მხრივ, ჩემს ქვეყანაში ზოგიერთი ჯგუფის მიერ წარდგენილი კანონპროექტი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების თავისუფლებას შეზღუდავს – და რომელშიც, უნდა ითქვას, რომ უმეტესი წილი ქალ აქტივისტებს უჭირავთ – უკიდურესად საზიანო იქნება ჩვენი საზოგადოების დემოკრატიული ტრანსფორმაციის, გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და, რეალურად, ჩვენი ევროინტეგრაციის გზისათვის. აქედან გამომდინარე, ამ კანონპროექტის მიმართ მე ჩემი მკვეთრი წინააღმდეგობა უკვე გამოვხატე და ვიყენებ ამ შემთხვევას, რომ ჩემი პოზიცია აქაც დავაფიქსირო“!

რუსეთმა უნდა აღიაროს, რომ მას არ შეუძლია სხვა ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაცია

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ნიუ-იორკში გაეროს გენერალურ მდივან ანტონიუ გუტერეშთან რეგიონში არსებული ვითარება, ომი უკრაინაში, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები და ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი მდგომარეობა განიხილა, – ინფორმაციას პრეზიდენტის პრესსამსახური ავრცელებს.

პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთმა უნდა აღიაროს, რომ მას არ შეუძლია სხვა ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაცია და დღეს საერთაშორისო საზოგადოებამ უფრო კარგად დაინახა რუსეთის აგრესიული სახე, ვიდრე ეს 2008 წლის ომის დროს მოხდა. სალომე ზურაბიშვილის თქმით, დღეს როგორც არასდროს, მშვიდობასა და დეოკუპაციას ალტერნატივა არ აქვს. პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, საუბარი შეეხო ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებასა და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებს. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებზე საუბრისას ხაზი გაესვა ამ ფორმატის შედეგიანობის გაზრდის მნიშვნელობას.

საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უკრაინის ომის პერიოდში მოსკოვიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. მთავრობებზე წნეხი გაიზარდა. პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ანტონიუ გუტერეშმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს აქტიური თანამშრომლობისათვის და აღნიშნა, რომ გაეროს სხვადასხვა ფორმატში მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს აქტიური თანამშრომლობა მის დამოკიდებულებაში ვლინდება, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ბერდია გოგიჩაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბერდია გოგიჩაშვილი (პ/ნ 59001092595), გორი, სოფელი მეჯვრისხევი

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
გორი, სოფელი მეჯვრისხევი (საკადასტრო კოდი: 66.53.16.738 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 17141.25 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 9 მარტი, 16:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 24 მარტი, 16:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP87373723; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 873737

6. **მოვალე:** ბერდია გოგიჩაშვილი (პ/ნ 59001092595), გორი, სოფელი მეჯვრისხევი
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP87373723; ლოტის ნომერი: 873737).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 24 მარტის 12:00 საათამდე.



ჰეიდარ ალიევი – აბრეშუმის გზის აღდგენის ერთ-ერთი თაოსანი

2023 წლის 10 მაისს აზერბაიჯანის მოსახლეობა ეროვნული ლიდერის, აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამაარსებლის, გამოჩენილი პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის ჰეიდარ ალიევის დაბადებიდან 100 წლისთავს აღნიშნავს.

აზერბაიჯანელი ხალხი ძალიან ბედნიერია, რომ ისტორიამ მათ ისეთი მსოფლიო დონის ლიდერი მისცა, როგორიც იყო ჰეიდარ ალიევი, რომელმაც შეძლო აზერბაიჯანი მოკლე დროში დაეყენებინა სამართლებრივი, სეკულარული და დემოკრატიული განვითარების გზაზე ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე არსებული სირთულეების აღმოფხვრით. აზერბაიჯანში ჩემი საქმიანობის დროს რამდენჯერმე შევხვდი აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნულ ლიდერს ჰეიდარ ალიევს.

ჰეიდარ ალიევის თაოსნობით, 1998 წლის 7-8 სექტემბერს, 9 ქვეყნის (აზერბაიჯანი, თურქეთი, საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, რუმინეთი, ბულგარეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი) 13 საერთაშორისო ორგანიზაციისა და 32 ქვეყნის დელეგაციის მონაწილეობით ბაქოში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენას. ამ კონფერენციის დასასრულს ხელი მოეწერა მთავარ მრავალმხრივ შეთანხმებას საერთაშორისო ტრანსპორტის შესახებ „ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის განვითარებისთვის“ და მიღებულ იქნა ბაქოს დეკლარაცია. შეთანხმების მიხედვით ამირჩიეს სახელმწიფოთაშორისი კომისიის პირველ მდივნად.

ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმების დებულებების შესაბამისად გადაწყდა „ტრასეკას“ სამთავრობათაშორისო კომისიის მუდმივი სამდივნოს განთავსება ბაქოში და ის ოფიციალურად გაიხსნა 2001 წლის 21 თებერვალს. ამრიგად, მე ვიტყოდი, რომ ჰეიდარ ალიევმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა განვითარების მთავარი გზის განსაზღვრაში, თავისი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანის ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენაში. სწორედ ამ სამდივნოს გახსნაზე მქონდა პირველი შეხვედრა ჰეიდარ ალიევთან.

თავის გამოსვლაში მან მაღალი შეფასება მისცა ევროკავშირის მიერ გატარებულ ზომებს „ტრასეკას“ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. ჰეიდარ ალიევმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „ჩვენმა სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს ამ შენობის სილამაზესა და მის ამჟამინდელ მდგომარეობას. შემთხვევითი არ არის, რომ ეს შენობა ევროკავშირის „ტრასეკას“ პროგრამას და აბრეშუმის გზის აღდგენის სამუშაოებს გადაეცა. ეს შენობა აზერბაიჯანის, ბაქოს ერთ-ერთი არქიტექტურული ძეგლია. მე-20 საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანის დიდმა პიროვნებამ, დიდმა მეწარმემ ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევმა ააგო და აქ დიდხანს მუშაობდა“.

სამდივნოს გახსნის შემდეგ ნახევარი საათის განმავლობაში გამიცვალა აზრები მომავალი ამოცანებისა და გეგმების შესახებ. მისი წინდახედულობით მიღწეულმა შედეგებმა გაამართლა.

ამრიგად, ჰეიდარ ალიევის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად, დღეს აზერბაიჯანს აქვს ძლიერი სატრანსპორტო და საკომუნიკაციო დერეფანი.

პიროვნულ თვისებებთაგან ბატონ ჰეიდარ ალიევს ძალიან მნიშვნელოვანი იუმორის გრძნობა ჰქონდა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ ადამიანებს, რომლებსაც იცნობდა და პატივს სცემდა. ეს კოლორიტული ადამიანი მუდამ გულწრფელად მხვდებოდა. ჰეიდარ ალიევი დიდად აფასებდა იმ პიროვნებებს, რომლებიც ემსახურებოდნენ საკუთარი ინიციატივით დაწყებულ ფართომასშტაბიან სამუშაოებს. მიხარია, რომ მეც ერთ-ერთი იმ ადამიანთა რიცხვში ვიყავი, ყველა ღონისძიებაზე მხვდებოდა და ყურადღების მიღმა არასდროს მტოვებდა. მირეკავდა და მამობრივ დამოკიდებულებას ავლენდა.

ჰეიდარ ალიევის განსაკუთრებულმა ყურადღებამ, შესაძლებელი გახადა, აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობა თვისობრივად ახალ ეტაპზე ასულიყო. ბრძენი და მოაზროვნე პოლიტიკოსი ჰეიდარ ალიევი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების ისტორიულ მეგობრობას და მნიშვნელოვან მომენტებს, რომლებიც ემსახურება მეგობრული ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის მიერ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ მემკვიდრეობას, მამობრივ ნებას დღევანდელი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ღირსეულად ახორციელებს. აზერბაიჯანელ ხალხს ვუსურვებ მშვიდობასა და სიმშვიდეს. კავკასიის ამ ორი სახელმწიფოს ლიდერებისა და ხალხების ურთიერთობა სამაგალითოა დღევანდელი მსოფლიოსთვის...



დავით აღმაშენებლის უცნობი დამსახურების შესახებ ქართველი ერის წინაშე, რომელიც არანაკლებია დიდგორის გამარჯვებაზე

ნოდარი ბართაია,
მეცნიერი (აღმოსავლეთმცოდნე – ირანისტი), მწერალი, მთარგმნელი. არის საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირების წევრი.



(პირველი გვერდიდან)

ვიდრე უშუალოდ საკითხს შევეხებოდეთ, ზოგადად გადავავლოთ თვალი XII საუკუნის მახლობელ აღმოსავლეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას.

ეს მოხდა 632 წელს.

ორმოცი წლის იყო მუჰამადი (570-632), ხილვები რომ დაეწყო და — სამოცდაორის — რეალობად რომ აქცია ისინი. სულ რაღაც ოცდაორ წელიწადში მან შეძლო არაბეთის ნახევარკუნძულზე მიმოფანტული მრავალღმერთიანი არაბული ტომები ერთი ღმერთის გარშემო შემოეკრიბა და ისლამის დროშის ქვეშ დაერაზმა.

დიახ, ის-ის იყო, მუჰამადმა დარაზმა არაბები ისლამის დროშის ქვეშ, არაბეთის ნახევარკუნძულიდან გასასვლელად და დაპყრობითი ომების საწარმოებლად, მაგრამ სწორედ მაშინ მოუწია მას გასვლა ამ სოფლიდან.

ეს მოხდა 632 წელს.

632 წელი გახდა მთელი ახლო აღმოსავლეთის, მათ შორის ირანელი ხალხებისთვის ახალი ერის დასწყისი.

მხოლოდ ერთი შეხედვით

იმავე წელსვე დაარსდა ხალიფატი. ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ომაელები. დაიწყო მოჰამადის იდეის განხორციელება და არაბები ელვისებურად დაეპატრონენ მთელ მახლობელ აღმოსავლეთს. მათ ერთდროულად შეუტიეს ერთმანეთთან ბრძოლებში დასუსტებულ ირანსა და ბიზანტიას და, უკვე მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისისთვის, გამარჯვება მოიპოვეს ირანზე, ხოლო ბიზანტიას ჩამოაცილეს აღმოსავლეთის პროვინციები – სირია და ეგვიპტე. ამავე დროს ამიერკავკასიაში გააგზავნეს მარბიელი ლაშქრები.

მოხდა წარმოუდგენელი რამ, მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა იმპერიამ, ოთხსაუკუნოვანმა სასანურმა ირანმა, უცებ დაკარგა ცამეტსაუკუნოვანი ზოროასტრული რელიგია, მშობლიური ანბანი და სალიტერატურო ენა, სანაცვლოდ მიიღო ისლამი, არაბული ანბანი და სალიტერატურო ენად – არაბული (ამ დროს ქართველებმა, იმავე დამპყრობთა ხელში, ყველაფერი შეინარჩუნეს).

ჩაბარდა წარსულს ირანის სახელმწიფოებრიობა, რომელიც, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას სამანიდების მიერ დამოუკიდებლობის ნაწილობრივ აღდგენას (Xს.), ირანს დაკარგული ჰქონდა.

არაბები, შედარებით ირანელებთან, პოლიტიკურად და კულტურად განვითარების დაბალ საფეხურზე იყვნენ, ამიტომ ისინი, ამ მიმართულებით, წარმატებით იყენებდნენ ირანულ რესურსებს. ირანელებიც ყოველმხრივ აქტიურად ჩაებნენ არაბთა იმპერიის სამსახურში, პოლიტიკური კუთხით იქნებოდა ეს თუ კულტურული. განსაკუთრებით კი კულტურის სფეროში გამოიჩინეს მათ თავი.

არაბებმა დაიწყეს მიღება ცივილური სამყაროს მონაპოვრებისა, როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან.

სახალიფოს პირველი საუკუნე, ანუ ომაელთა ხანა, მძიმე იყო ირანელთათვის, რადგან ომაელები ზემოდან უყურებდნენ დაპყრობილ ხალხებს. აბასიდების დროს კი ისლამი გახდა საერთაშორისო რელიგია და წაიშალა ეთნიკური ზღვარი არაბებსა და არა არაბებს შორის.

გათანაბრების ეს პროცესი მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას, იმ მიზეზით, რომ „თუ ომაელების დროს მათ მარტო არაბები „ჭამდნენ“, ახლა ირანელი და ადგილობრივი ფეოდალებიც მიემატნენ და გლეხი აუტანელ მდგომარეობაში აღმოჩნდა“ (ვ. გაბაშვილი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 106, თბ., 1957).

ყოველივე ამას მოჰყვა გლეხთა აჯანყებანი, რომელთა დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ სახალიფოს პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებული ირანელი და შუა აზიელი ფეოდალები.

აბასელთა ხალიფებიც თანდათან ნომინალურ მმართველებად იქცნენ და იმპერიაც IX საუკუნიდან საამიროებად იწყებს დაშლას.

დაიწყო ანტიარაბული სახალხო ინტელექტუალური მოძრაობა. ირანელთათვის მამოძრავებელი ძალა აღმოჩნდა თავიანთი დიდი წარსული ლოზუნგით: „ჩვენ ჯემშიდის ჩამომავლები ვართ, არაბს კი თავისი პაპის სახელიც არ ახსოვს“ (ვ. გაბაშვილი, 107).

ასე დადგა დღის წესრიგში ირანის სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი.

მალე ირანულმა ეროვნულმა დინასტიებმა წამოჰყვეს თავი თაჰერიდების, საფარიდებისა და სამანიდების სახით და საბოლოოდ, როგორც ჯეიმს დარმსტეტერი წერს: „სამანიდებთან ერთად ტახტზე სპარსული ენაც ავიდა“ (ჯ. დარმსტეტერი, სპარსული პოეზიის სათავეებთან, თარგმანი ფრანგულიდან ბაჩანა ბრეგვაძისა, გვ. 9, თბ., 1985).

ასე ჩაისახა და დაიწყო განვითარება კულტურამ, რომელიც არაბულ-მუსლიმური კულტურის სახელით დარჩა ისტორიაში.

ამგვარად, ირანელები, ასე ვთქვათ, გაარაბდნენ, მაგრამ თურმე ერთი შეხედვით. მათ გარეგნულად მოუსხამთ მხოლოდ არაბული მანტია. აღმოჩნდა, რომ მათში არ ჩამქრალა ეროვნული სულისკვეთება, რომელსაც გასაქანი მიეცა 750 წლიდან, ირანული ორიენტაციის მქონე აბასელთა დინასტიის მოსვლის შემდეგ.

ასი წელი გასტანეს სამანიდებმა. ამ დროს ახალ სპარსულ ენაზე შეიქმნა დიდი ლიტერატურა, რომელზედაც ფართოდ გაიშალა და დგას დღემდე დიდი სპარსული მწერლობა.

საუკუნოვანი არსებობის დასასრულს, სამანიდების დინასტია, მათსავე კარზე მონობიდან სულთნობამდე აღზევებულმა თურქმა მაჰმუდ ღაზნელმა დაამხო.

თურქები ანტიირანული განწყობისანი იყვნენ. მაჰმუდ ღაზნელმა სცადა სპარსულის ნაცვლად ისევ არაბული ენის დაბრუნება ირანში, მაგრამ სპარსულ ენაზე აწყობილი სახელმწიფო სტრუქტურების გადაყვანა სხვა ენაზე არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ამავე დროს, ღაზნელები სამანიდების კარზე იყვნენ აღზრდილები და მათ სმენას ისედაც საამოდ ელამუნებოდა ტკბილხმოვანი სპარსული ყასიდები, რამაც, ერთგვარად, ხელი შეუწყო სპარსულის დარჩენას თავის ფუნქციებში.

მაჰმუდ ღაზნელმა ინდოეთი დალაშქრა, სადაც შეიტანა ისლამი და სპარსული ენა, რითაც სპარსულ ენას მეტი ასპარეზი მიეცა. თუმცა ნამდვილი ასპარეზი მას, როგორც ვნახავთ, თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხანაში მიეცემა.

ორრქიანი გვირგვინი

ნახევარ საუკუნემდე გაძლეს ღაზნელებმა, რომლებიც მერე თურქ-სელჩუკებმა შეცვალეს. სელჩუკთა დინასტიის დამაარსებელმა თოღრულ-ბეგმა 1055 წელს აიღო სახალიფოს დედაქალაქი ბაღდადი. მას თავზე ორრქიანი გვირგვინი, ნიშნად აღმოსავლეთისა და დასავლეთის მფლობელისა, თვით ხალიფამ დაადგა.

თურქულმა ენამ ვერ გაუწია კონკურენცია სპარსულს და თურქ-სელჩუკებმაც დაპყრობილ ირანში, სპარსული ენა დატოვეს თავის ფუნქციებში – სახელმწიფო და სალიტერატურო ენად. ახალი დამპყრობლები ირანის დაპყრობით არ შემოფარგლულან. მალე ისინი გაბატონდნენ მთელ მახლობელ აღმოსავლეში და სპარსულ ენას, ძალაუნებურად, მიეცა არნახული ასპარეზი, იგი გახდა სახელმწიფო და სალიტერატურო თურქ-სელჩუკთა იმპერიისა.

ამგვარად, მოხდა ისე, რომ პოლიტიკურად დაპყრობილმა ირანმა კულტურულად დაიპყრო არა მარტო დამპყრობი თურქ-სელჩუკები, არამედ მთელ მის იმპერიაში შემავალი ხალხები.

ასე რომ, მახლობელ აღმოსავლეთში არაბებს პოლიტიკურად ჩაენაცვლნენ თურქ-სელჩუკები, ხოლო არაბულ სალიტერატურო ენას – სპარსული. შესაბამისად, არაბულ-მუსლიმურ კულტურას ჩაენაცვლა ახალ თვისობრივ რანგში გადასული სპარსულ-მუსლიმური კულტურა.

ბუნებრივია, თურქ-სელჩუკთა იმპერიაში შემავალ ყველა ხალხს ჰქონდა თავისი კულტურული წარსული. ასევე ბუნებრივია, რომ მათგან გამოსულ ყველა შენაკადს შეჰქონდა რაღაც თავისი სპარსულ-მუსლიმური კულტურის საერთო ოკეანეში. სწორედ ამიტომ „გარეგნულად ირანულ ფორმაში გამოხვეულ კულტურაში (შუა აზიიდან ეგვიპტემდე) გამჭვირვალედ მოჩანს თურქ-სელჩუკთა მიერ დაპყრობილი ხალხების თავისთავადი, ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული კულტურა, ხელოვნება, მწერლობა“ (გაბაშვილი 1957,137).

აი, რატომ არის სპარსულ-მუსლიმური ლიტერატურა მსოფლიოში სახელგანთქმული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი გაგრძელდა ირანში მონღოლთა და თემურელთა ბატონობის ხანაშიც, რამაც განაპირობა ის, რომ დღეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში მიმოფანტულა სპარსულენოვან მხატვრული სიტყვის ისეთ დიდოსტატთა საფლავები, როგორიც არის ნიზამი განჯელისა (XIIს.) – აზერბაიჯანში, ჯელალ ედ-დინ რუმისა (XIIIს.) – თურქეთში, ხოსრო დეჰლევისა – ინდოეთში (XIII-XIXსს.), აბდ ორ-რაჰმან ჯამისა (XVს.) – ავღანეთში და სხვა.

„XI საუკუნეში არაბული ელემენტის უპირატესობა შეიცვალა სპარსული ელემენტის უპირატესობით“. ამიერიდან „სპარსელი“ მაჰმადიანსაც ნიშნავს, „სპარსული“ მაჰმადიანურს, „სპარსეთი კი სამაჰმადიანოს“ (გაბაშვილი 1980: 12).

ამ დროს „სპარსულ ამბავში“ („ესე ამბავი სპარსული“...) მოსაწონი ამბავი იგულისხმება.

მაგრამ, მონღოლთა ხანიდან, ტერმინს სპარსი, ჩაენაცვლა თათარი, რამაც შებღალა ის იმიჯი, რომელიც გააჩნდა მას ქართველთა წარმოდგენაში სპარსელთა, როგორც კულტუროსან ხალხთა მიმართ.

ეს მცირე ექსკურსი იმიტომ გავაკეთეთ, რომ დაახლოებით წარმოგვეჩინა თუ რა სახის პოლიტიკურ გარემოსა და კულტურასთან ჰქონდა შეხება საქართველოს XII საუკუნეში.

დავით აღმაშენებელი – 950

საქართველოშიც ამ დროს მოხდა ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა. დავით მეოთხემ, რომელსაც ხალხმა აღმაშენებელი უწოდა, დავით III კურაპალატიდან (IXს.) დაწყებული საქართველოს გამთლიანების პროცესი ბოლომდე მიიყვანა და შექმნა ისეთი დამოუკიდებელი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც თავდაცვითი ომებიდან თავდასხმით ომებზე გადაიყვანა.

რა თქმა უნდა, თურქ-სელჩუკები გულგრილად არ დაუწყებდნენ ცქერას საქართველოს და 1080 წლიდან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იწყება მათი თარეშიც. „თურქების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელებისა თუ არაბების ბატონობისგან. თურქები მომთაბარე-მეჯოგენი იყვნენ. ისინი გადმოსახლებით მოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი მეურნეობისთვის საჭირო მიწებს იჭერდნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორ შეუთავსებელი, როგორ ერთმანეთის გამომრიცხველი იყო ორი მეურნეობა – თურქულ-მომთაბარული და ქართულ-ფეოდალური“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 6. თბ., 1954).

ოთხი ათეული წელი გასტანა საქართველოში თურქთა თარეშმა, რასაც ბოლო მოუღო დავითმა და რომელიც 1122 წელს დავითის მიერ თბილისის არაბთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობისგან განთავისუფლებით დაგვირგვინდა.

იმ მრავალ ქმედებათაგან...

იმ მრავალ გარდამტეხ ქმედებათაგან, რომელიც განახორციელა დავითმა, ამ შემთხვევაში გამოვყოფდით ერთს - ისლამურ სამყაროსთან მის დამოკიდებულებას, რაც გამოიხატა ტოლერანტიზმისა და შირვანთან მჭიდრო პოლიტიკურ-ნათესაური ურთიერთობის დამყარებაში, რომელმაც შემდეგ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ლიტერატურული პროცესების განვითარებაში.

ტოლერანტიზმს მოჰყვა ის, რომ მუსლიმებს შეექმნათ იმაზე უკეთესი პირობები, ვიდრე მათ ჰქონდათ მუსლიმურ ქვეყნებში, რაზეც ნათლად მეტყველებს არაბ ისტორიკოსთა ცნობები. აი, ზოგი მათგანი:

ალ-ფარიჯი: დავით IV-ემ „მიაგო მუსლიმებს უდიდესი პატივი, მეცნიერებს, ღვთისმეტყველებსა და სუფიებს ისეთი ღირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონდათ (თვით) მუსლიმებთანაც კი“;

ალ-ჯაუზი: დავით IV და მისი ვაჟი დემეტრე I საჯაროდ გამოხატავდნენ თავიანთ პატივისცემას ისლამისადმი. ისინი პარასკეობით დადიოდნენ მეჩეთში, ისმენდნენ ხუტბასა და ყურანის კითხვას, ასაჩუქრებდნენ ხატიბსა და მუაზზინებს“;

ალ-ფარაჯი: „მე ვნახე ალიმები, მქადაგებლები, დიდებულები, სუფიები, მლოცველები, რომელთაც მეფე (დემეტრე I) პატივით იღებდა და ასაჩუქრებდა. ის კეთილად ექცეოდა (მათ), რისი მსგავსიც არ არსებობს. მე ვნახე (იქ) ისეთი პატივისცემა მუსლიმებისა, რაც ბაღდადშიც კი არ ექნებოდათ“ (გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 242, თბ., 1995).

შირვანთან მჭიდრო პოლიტიკურ და დინასტიურ ქორწინებაზე დამყარებულ ნათესაურ ურთიერთობას (დავითის ქალიშვილი თამარი დაქორწინებული იყო შირვანშაჰზე) კი მოჰყვა ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის კულტურულ ურთიერთობათა დამყარება, კერძოდ, შირვანის გზით, თარგმანის საშუალებით, დიდი სპარსული ლიტერატურის შემოდინება ქართულ მწერლობაში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები

არაბთა ხალიფატის დაშლის პროცესი დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებსაც მოედო.

შირვანშიც ისე თარეშობდნენ თურქ-სელჩუკები, როგორც საქართველში, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დავითმა მოკავშირედ გაიხადა შირვანშაჰები.

თურქ-სელჩუკთა მიერ დღევანდელი აზერბაიჯანის დაპყრობას, პოლიტიკურ-კულტურულთან ერთად, მოჰყვა ეთნიკური ცვლილებები. მოხდა ადგილობრივი ირანული ტომის მოსახლეობის ასიმილირება თურქებთან, რასაც მოჰყვა საშუალო სპარსული ენის თურქულით ჩანაცვლება.

სახალიფოს დაშლამდე, ამ ტერიტორიის მოსახლეობის სახელმწიფო და კულტურის ენა იყო არაბული, რომლის ადგილიც, თურქ-სელჩუკთა გამოჩენიდან, დაიკავა სპარსულმა.

ადგილმონაცვლეობა ლიტერატურულ ცენტრთა

პირველი ირანული დინასტიის წარმომადგენლებს – სამანიდებს (Xს.) ტახტი შუა აზიის ქალაქ ბუხარაში ედგათ. სპარსული ლიტერატურის ცენტრიც იქ იყო, რომელმაც, ხელისუფლებაში ღაზნელთა გამოჩენასთან ერთად, ღაზნაში გადაინაცვლა, ხოლო თურქ-სელჩუკთა მოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის სატახტო ქალაქი ისფაჰანი იყო, მისი გადანაცვლება აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთ ირანში, კერძოდ, შირვანში მოხდა.

მტერმა საქართველოსთან ამა თუ ომში შეიძლება გაიმარჯვოს, მაგრამ „ვეფხისტყაოსანთან“ ომში ვერასოდეს გაიმარჯვებს, რაც არანაკლებია დიდგორის გამარჯვებაზე.

შეიქმნა სპარსული ლიტერატურის შირვანის სკოლა, სადაც განვითარების ახალ საფეხურზე ადის სპარსული ლექსი, რომელიც შემდეგ ტონის მიმცემი ხდება მთელი სპარსული პოეზიისათვის.

სპარსულ მწერლობაში ცნობილია სამი სტილი, სამი მშვენება სპარსული ლიტერატურისა: ხორასნული (XIს.) – იგივე სამანიდური, ერაყული (XII-XVსს.) - იგივე აზერბაიჯანული და ინდური (XVI-XVIIIსს.) – იგივე ისფაჰანური. ანუ იმის თქმა გვინდა, რომ ერთ-ერთი თვისობრივად განსხვავებული სტილი, რომელიც მოიცავს სპარსული კლასიკური პერიოდის ლიტერატურის უდიდეს პერიოდს (XII-XVIსს.), შირვანის (აზერბაიჯანული) ლიტერატურული სკოლიდან იღებს სათავეს, რაც „ძალოვანი ცენტრების ხორასნიდან ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში გადასვლას მოჰყვა“ (მეიმანათი, პოეტური ხელოვნების ტერმინოლოგია, გვ. 129, თეირანი, 1373/1994/სპარსულად/).

ერთიანი სივრცე

ისე როგორც ირანში, საქართველოშიც, პოლიტიკური ცენტრის ქუთაისიდან თბილისში ადგილმონაცვლეობას მოჰყვა კულტურის ცენტრის ადგილმონაცვლეობაც, რის გამოც ქართულ-სპარსული ლიტერატურის ცენტრები გეოგრაფიულად დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

იმასაც თუ გავითვალსწინებთ, რომ შირვანი ამ დროს საქართველოს ვასალური ქვეყანა იყო, რომელიც 1124 წლიდან შემოიერთა დავითმა, იმისი თქმაც შეიძლება, რომ ამ დროს სპარსული ლიტერატურული ცენტრი ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეშიც კი მოექცა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ქართულ-ქრისტიანულ და სპარსულ-მუსლიმურ კულტურათა ურთიერთდაახლოება.

ამავე დროს, დავით მეფემ, რამდენადაც, ქვეყნის დამოუკიდებლობით, პოლიტიკურად გადაუკეტა გზა სპარსულ ენას საქართველოში, იმდენად გაუხსნა კარები ამ ენაზე შექმნილ კულტურას, კერძოდ, უდიდეს სპარსულ ლიტერატურას, რითიც მსოფლიოში მიმდინარე საერო ლიტერატურული პროცესების მონაწილე გახადა ქართული მწერლობა, რამაც, ვფიქრობთ, დიდად განაპირობა **ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება.**

როგორც, წყალი მიშვებული წისქვილის ღარზე

სამწუხაროდ, იმ მრავალ ლიტერატურულ ქმნილებათაგან, რომელიც შემოვიდა ამ დროს ქართულ ლიტერატურაში, მხოლოდ „ვისრამიანის“ უბადლო თარგმანმა მოაღწია ჩვენამდე.

დანარჩენთა არსებობის შესახებ ქართულ მწერლობაში (ფირდოუსის „შაჰნამე“, ნიზამისა და ონსორის პოემები, „ქილილა და დამანა“...) ისტორიულმა წყაროებმა თუ შემოგვინახეს მხოლოდ ცნობები. ასე მაგალითად, თამარის ისტორიკოსი გიორგი მესამეზე წერს, რომ იგი არის: „ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის: **აქილევ** და **სამგსონ** და **ნებროთ** გმირთა შორის; სპანდიარ, თაჰამთა და სიაოშ გოლიათთა შორის. სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის („ქართლის ცხოვრება“, გვ. 42, თბ., 1942). ამ ერთ წინადადებაში, შედარებისთვის, „შაჰ-ნამეს“ ოთხი გმირის სახელია მოყვანილი, რაც იმას მოწმობს, თუ რაოდენ ნაცნობნი ყოფილან ჯერ კიდევ XII საუკუნში „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟები ქართველთათვის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველები „შაჰ-ნამეს“ გმირებს იცნობდნენ მანამდეც, სანამ ფირდოუსი (Xს.) შექმნიდა თავის უკვდავ ქმნილებას, იცნობდნენ მას რამდენიმე საუკუნით ადრე, მისი პირველწყარო – ფალაური „ხვადაი-ნამაკიდან“ („მეფეთა წიგნი“).

* * *

ახლა კი თითო მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან“ და „ვისრამიანიდან“:

„ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავს უგრძესისა“ (რუსთველი, 1966: 1963ა).

„ნეტარძი, თუმცა ცხენსა ზედა მჯდომი მაშურალი ვნახო, რომელ პირი ჩემკენ ექმნას და ზურგი მარავისკენ! ნეტარ ვერ ვნახავ ჩემთუის მოსრულსა ჭაბუკად როსტომის სამატონოსა (გორგანელი, „ვისრამიანი“, გვ. 113, თბ., 1962).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ვისრამიანში“, სპარსულიდან ნათარგმნ ძეგლშიც კი, როცა დედანში არ არის ნახსენები „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი როსტომი, თარგმანში მოხსენებულია, რაც კიდევ მაუწყებელია იმისა, თუ რაოდენ მახლობელი ყოფილა მაშინ ეს სახელი ქართველთათვის.

ასევე იმდენად მახლობელია ნიზამი განჯელისთვის ქართული სამყარო, რომ „ხოსროვ-შირინიანში“ პროტოტიპებად თამარისა და რუსუდანის სახეები იკვეთება (კ. ფაღავა, ნიზამი, გვ., 109, თბ., 2014).

ამ დროის ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ახლო ურთიერთობებზე მიუთითებს ის ცნობაც, რომ დემეტრე მეფის დაკრძალვაზე თბილისში ჩამოსულან ორი დიდი შირვანელი პოეტი ხაყანი და ფალაქი.

ეს ის ხაყანი შირვანელია, რომელიც ერთ-ერთ თავის ყასიდაში წერს: ბაგრატიონთა კარი ჩემთვის ყოველთვის ღიააო.

ეს ის ხაყანი შირვანელია, რომლის შემოქმედება, განსაკუთრებით სახოტბო ლირიკა, ნიზამის შემოქმედებასთან ერთად, მიბაძვის საგნად იქცა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მხატვრული სიტყვის ოსტატთათვის.

მას მერე რაც დავითმა ეკლესია დაუმორჩილა სახელმწიფოს და სამეფო კარი საერო კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ცენტრი გახდა, ასეთი ცნობები მოულოდნელი არც არის.

ამ დროის საკარო ლირიკაც, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის მოღწეული ჩვენამდე, თავისი პოეტური ორგანიზებულობით, ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა დახვეწილი და მაღალი დონის წყობილსიტყვაობა გვქონია XII საუკუნეში.

მაშინ, როცა შირვანის ლიტერატურულმა სკოლამ დიდი გავლენა მოახდინა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ლიტერატურაზე, რა თქმა უნდა, იგი გარკვეული ტონის მიმცემი იქნებოდა ქართული მხატვრული აზროვნებისთვისაც.

ჩვენი აზრით, შექმნილმა ვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებას, რომელსაც, იმდროისთვის, მოყოლებული გრიგოლ ხანძთელიდან (759-861წ წ.), საკმაოდ ჰქონდა მომზადებული ლიტერატურული ნიადაგი.

რაც შეეხება ნიადაგის მომზადებას, უფრო შორსაც წავალთ, როგორც ცნობილი ირანისტი ალექსანდრე გვახარია წერს: „დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში სავსებით იყო შემზადებული ნიადაგი კლასიკური სპარსული კულტურის ასათვისებლად, რადგან კარგად იყო ცნობილი მისი ძველსპარსული დ ფალაური (საშუალო სპარსული) საფუძვლები“ (ა. გვახარია, ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 131, თბ., 2001).

ვეფხისტყაოსანი – ვულკანი საერო მწერლობისა

ქართული მწერლობა, მეხუთედან მეთორმეტე საუკუნემდე, წამება-მარტვილობათა უწყვეტი ჯაჭვით, იყო ჰაგიოგრაფიული. მეთორმეტე საუკუნეში კი მის გვერდით, „ვეფხისტყაოსნის“ სახით, უცებ ამოიფრქვა საერო მწერლობის ვულკანი.

ეს მოულოდნელი მოვლენა იყო არა მარტო ქართულ, არამედ მთელი საქრისტიანოს მწერლობისთვის, რამაც მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილმა ეს მიიჩნია გარე ფაქტორის ძალიდან, კერძოდ, სპარსულიდან მომდინარედ (ნ. მარი...) ნაწილმა – შიდა ფაქტორის (კეკელიძე)... და ნაწილმაც - ორივე ფაქტორის არსებობა დაუშვა (იუსტ. აბულაძე)... საბოლოოდ კი გაბატონდა აზრი ამ მოვლენის შიდა ფაქტორის ძალის მომხრეთა სასარგებლოდ. აი, რას წერს აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 1966 წელს გამოცემული სახელმძღვანელო წიგნის, ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში, გვ. 8: „ნ. მარის აღრინდელ თეორიას ქართული საერო მწერლობის სპარსული ლიტერატურის ზეგავლენით წარმოშობის შესახებ ახლა აღარავინ იზიარებს (ამ თეორიას თავის დროზე ბევრი მიმდევარი ჰყავდა). სადავო არ არის, რომ ისეთი დიდი მასშტაბის მოვლენა, როგორიც არის ქართული საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობა, არ შეიძლება უცხოური გავლენით აიხსნას“.

ვფიქრობთ, რომ ქართული მწერლობა „არ შეიძლება უცხოური გავლენით აიხსნას“ – გაუგებრობაა.

შევნიშნავთ, რომ ეს კრებული დღემდე სახელმძღვანელო წიგნად არის მიჩნეული.

თუმცა აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს მაინც დარჩა გაუგებარი ამ მოვლენის არსი და წერს: „ის, რაც საეკლესიო მწერლობის წიაღში სტიქიურად მზადდებოდა, გარკვეული დროიდან, როდესაც შესაფერისი პირობები მომწიფდა, სახელდობრ, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებიდან, მკვეთრად გამომჟღავნდა და მხატვრული საერო ლიტერატურის სახით გაიშალა და გაიფურჩქნა. თუმცა შესაძლოა, ასეთი წინასწარი კულტურული პირობები სხვა ქვეყანაშიც არსებობდა, მაგალითად, ბიზანტიაში, მაგრამ იქ საერო ლიტერატურა არ აღმოცენებულა, მაშასადამე, საჭირო იყო კიდევ რაღაც სხვა პირობა“ (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლოიტერატურის ისტორია, გვ, 12, თბ., 1981).

ჩვენი აზრით, ის „კიდევ რაღაც სხვა პირობა“, რომელიც ბურუსით იყო მოცული სულმნათი მეცნიერისთვის, საძიებელია სწორედ ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებში ანუ ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, რომელიც განხორციელდა XII საუკუნის საქართველოში.

იხ. 8 გვ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

(ᲛᲔᲛᲕᲘᲓᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲩᲐᲠᲩᲝᲨᲘ

„ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ დროს ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერი ფეოდალური საქართველოს წინსვლა მის განათლება-კულტურაშიც გამოიხატა. საქართველოში მოხდა ქრისტიანული (ბიზანტიური) და მუსლიმური კულტურის შეხვედრა-შერწყმა (რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, გვ. 265, თბ., 2018).

დიახ, მოხდა ქრისტიანული და მუსლიმური კულტურის შეხვედრა-შერწყმა, რამაც გავლენა იქონია ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე მოვლენებზე და დააჩქარა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარების პროცესი, რასაც მოჰყვა „ვეფხისტყაოსანი“ – გვირგვინი აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა შორის დიალოგისა. გამომდინარე აქედან, XII საუკუნის ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი შეიძლება ჩავსვათ ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციათა დიალოგის ოქროს ჩარჩოში.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ – ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ მსოფლიოში, პოლიტოლოგთა შორის (ჰანდიგთონი 1993: V 72 n.p. 22/28/) მუსირებს რადიარდ კიპლინგის მოარული ფრაზა: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი – დასავლეთი, ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს“ („Oh, Fast, is Fast, and West is West, and never the twain shall mest“) (კიპლინგი 1983: 71).

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იგულისხმება ისლამი და ქრისტიანობა, რომელთა შორის მდებარე ქვეყანაზე, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ქრისტიანულისა და მაჰმადიანურის კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთიანებელი იყო“ (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 306, თბ., 1965).

მიგვაჩნია, რომ თეზა: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი კი – დასავლეთი, ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს“ – უსაფუძვლოა, რადგან ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ჯერ კიდევ XII საუკუნის საქართველოში და რახან ეს მოხდა ერთხელ, ასევე შეიძლება მოხდეს მომავალშიც.

აღმოსავლეთი, დასავლეთი – დასავლეთი, ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს“ („Oh, Fast, is Fast, and West is West, and never the twain shall mest“) (კიპლინგი 1983: 71).

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იგულისხმება ისლამი და ქრისტიანობა, რომელთა შორის მდებარე ქვეყანაზე, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ქრისტიანულისა და მაჰმადიანურის კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთიანებელი იყო“ (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 306, თბ., 1965).

მიგვაჩნია, რომ თეზა: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი კი – დასავლეთი, ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს“ – უსაფუძვლოა, რადგან ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ჯერ კიდევ XII საუკუნის საქართველოში და რახან ეს მოხდა ერთხელ, ასევე შეიძლება მოხდეს მომავალშიც.

კულტურათა ურთიერთგადაკვეთა შეიძლება მოხდეს ორი გზით – მშვიდობიანი და ძალდატანების. ქრისტიანობასა და ისლამს შორის კი საქართველოში იგი შედგა მშვიდობიანი გზით, მაშინ როცა საქართველო იყო მძლავრი დამოუკიდებელი სახელმწიფო და მას ძალით ვერავინ მოახვევდა თავზე თავის ნებას.

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡᲗᲐᲜ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ უცხოურ ლიტერატურასთან იმდენად შემოქმედებითი დამოკიდებულება ჰქონდათ, რომ რელიგიურ ტექსტებსაც კი, ისე თავისუფლად ექცეოდნენ, ქრისტიანობაში ქართული ნაკადი შეიტანეს, რის გამოც იმდენად დაშორდნენ დედანს, რომ ხელმეორედაც შეიქნა ისინი სათარგმნი.

ამ დროს ადვილი წარმოსადგენია, თუ რა თავისუფლად მოეპყრობოდნენ ისინი საერო მწერლობას, თანაც მუსლიმურს.

მართლაც, ამის თვალნათლივი ნიმუშია თუნდაც X საუკუნის ირანელი პოეტი „შაჰ-ნამე“, რომლიდანაც ჩვენს წინაპრებს მხოლოდ მათთვის საინტერესო ამბები გადმოუღიათ, თანაც არა თარგმანის, არამედ მიბაძვა-გადაკეთებისა და ვერსიების სახით.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ მომენტზე. „შაჰ-ნამე“ მსოფლიოს მარავალ ენაზეა თარგმნილი, რომელსაც ყველგან თავისი სახელი აქვს შენარჩუნებული. ერთადერთია ქართული მწერლობა, სადაც მას არა „შაჰ-ნამე“, არამედ „როსტომიანი“ ეწოდება. ეს იმიტომ, რომ ქართველები, მისი მთავარი მითოლოგიური გმირის, როსტომის გარშემო არსებული საგმირო-საფალავნო ამბებით დაინტერესებულან და არა – ირანელ მეფეთა ისტორიით.

ალბათ, სწორედ ამიტომ არის, რომ „შაჰ-ნამეს“ გმირთა სახელები: როსტომი (როსთამ), ზურაბი (სოჰრაბ), გივი (გივ), მანუჩარი (მანუჩეჰრ), გოდერძი (გოდარზ), თამაზი (თაჰმასბ), უშანგი (ჰუშანგ), ლუარსაბი, (ლოჰრასბ),

ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜ ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ

ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ 2023 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ

2023 ᲬᲔᲚᲡ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, აკადემიის რექტორის მიერ ინიცირებული სახელოვნებო განათლების რეფორმის ფარგლებში, საბაკალავრო პროგრამებზე აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსი პირველად ჩატარდება ახალი ფორმატით. ამ თემასთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა და სამხატვრო აკადემიის რექტორმა ყარამან ქუთათელაძემ ისაუბრეს.

სამხატვრო აკადემიის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 2023 წლის შემოქმედებითი კონკურსის დებულება. დებულების თანახმად, სახელოვნებო განათლების რეფორმის ფარგლებში შემუშავდა შემოქმედებითი კონკურსის ახალი ფორმატი, რომელიც შეესაბამება სახელოვნებო და არქიტექტურის პროგრამების მოთხოვნებს და საშუალებას იძლევა, უფრო ზუსტად შეფასდეს თითოეული აბიტურიენტის შემოქმედებითი შესაძლებლობები. აქამდე სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების, დიზაინის, მედიახელოვნებისა და არქიტექტურის ფაკულტეტების ყველა პროგრამის აბიტურიენტებისთვის შემოქმედებითი ტური მხოლოდ ხატვაში ტარდებოდა, მაგრამ ამგვარი გამოცდა არ იძლეოდა შესაძლებლობას, შეფასებულიყო აბიტურიენტის მიერ არჩეულ პროგრამასთან დაკავშირებული მისი შემოქმედებითი უნარები.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ:

„2023 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ აბიტურიენტების მისაღები შემოქმედებითი კონკურსი (მისაღები გამოცდა არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის) ჩატარდება შემდეგი ფორმატით:

1. პორტფოლიოს წარდგენა და შეფასება;

2. გამოცდა ხატვაში (სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების პროგრამების აბიტურიენტებისათვის) ან ხაზვაში (არქიტექტურის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აბიტურიენტებისათვის).

პორტფოლიოს მეშვეობით შესაძლებელი იქნება აბიტურიენტის მხატვრული უნარებისა და შემოქმედებითი პოტენციალის მრავალმხრივად შეფასება, რადგან ის არის აბიტურიენტის მიერ დროის გარკვეულ ეტაპებზე სხვადასხვა მასალით (ფერადი ფანქრები, ფერადი ფლომასტერები, პასტელი, წყლის საღებავი – აკვარელი, აკრილი, ტემპერა, გუაში და სხვა) შესრულებული ნამუშევრების კრებული. პორტფოლიოში უნდა იყოს, სულ მცირე, 15 ნამუშევარი: ხუთი – შავ-თეთრი, გრაფიკული მასალით შესრულებული, ხუთი – ფერში შესრულებული და ხუთი – აბიტურიენტის მიერ შერჩეული თავისუფალი კომპოზიცია, რომლებიც, მისი მოსაზრებით, მაქსიმალურად წარმოაჩენს მის ინდივიდუალურ, მხატვრულ-შემოქმედებით შესაძლებლობებს.

შემოქმედებითი კონკურსის პირველი კომპონენტის – პორტფოლიოს – შეფასებისას დადებითი ქულის მიღების შემთხვევაში აბიტურიენტები დაიშვებიან შემოქმედებითი ტურის მეორე ეტაპზე – ხაზვის ან ხატვის გამოცდაზე. ხაზვის გამოცდა ჩატარდება ერთი დღის განმავლობაში, ხატვის გამოცდა კი ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება და შესრულდება ორი საგამოცდო ნამუშევარი: ერთი – შავ-თეთრი, გრაფიკული და ერთი – ჩანახატი ფერში.

პორტფოლიოებსა და საგამოცდო ნამუშევრებს გაეცნობა და ანონიმურად შეაფასებს სამხატვრო აკადემიის რექტორის ბრძანებით შექმნილი შემოქმედებითი კონკურსის შემფასებელი რამდენიმე კომისია, რომლებიც დარგის სპეციალისტებით დაკომპლექტდება.

აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2023 წლის შემოქმედებითი კონკურსის დებულება, რომელშიც განმარტებულია თითოეული კომპონენტის მოცულობა, ფორმატი, მასალა და ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმები, დღეს, 6 მარტს, გამოქვეყნდა სამხატვრო აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე – art.edu.ge.

ინფორმაციისთვის: მიმდინარე წლის 9 მარტს, 12:00 საათზე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში აბიტურიენტებისთვის ჩატარდება ღია კარის რომელზეც დასწრება თავისუფალია. დეტალურ ინფორმაციას შემოქმედებითი კონკურსის შესახებ აბიტურიენტებს აკადემიის რექტორი ყარამან ქუთათელაძე, ფაკულტეტების დეკანები, სასწავლო და ხარისხის მართვის დეპარტამენტების წარმომადგენლები გააცნობენ.

2023 წლის 9 მარტიდან სამხატვრო აკადემიაში ამოქმედდება საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც აბიტურიენტებს მიაწვდის ინფორმაციას და უპასუხებს მათთვის საინტერესო შეკითხვებს აკადემიაში ან სატელეფონო ცხელის ხაზის მეშვეობით. ინფორმაცია ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებისა და საკონსულტაციო ცენტრის სამუშაო საათების შესახებ გამოქვეყნდება სამხატვრო აკადემიის ვებ და ფეისბუქ-გვერდებზე.

როგორც ცნობილია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით სამხატვრო აკადემიაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აკადემიის რექტორის ყარამან ქუთათელაძის, ინიცირებულ სრულიად ახალ და თანამედროვე კონცეფციის შესაბამისად შემუშავებულ სახელოვნებო განათლების რეფორმაზე, რომელიც გულისხმობს ე.წ. ახალი აკადემიის შექმნას. რეფორმით გათვალისწინებულია: ახალი ლოგოსა და ვებგვერდის შექმნა; სამხატვრო აკადემიის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა – ახალი პროგრამების აკრედიტაცია, მათი თანამედროვე სტანდარტებთან სინქრონიზაცია და არსებული პროგრამების თარგმნა უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით; საერთაშორისო სახელოვნებო რეზიდენციების შექმნა; ყოველწლიური ახალგაზრდული არტგაზრობისა და ფესტივალის გამართვა; თანამშრომლობა მსოფლიოში ცნობილ სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებთან; სტუდენტებისთვის თავისუფალი სახელოსნოებისა თუ დამატებითი სოციალური სივრცეების მოწყობა და სხვა.“ – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

ქართველები „შაჰ-ნამეს“ გმირებს იცნობდნენ მანამდეც, სანამ ფირდოუსი (Xს.) შექმნიდა თავის უკვდავ ქმნილებას, იცნობდნენ მას რამდენიმე საუკუნით ადრე, მისი პირველწყარო – ფალაური „ხვადაი-ნამაკიდან“ („მეფეთა წიგნი“).

ჯემშიდი (ჯამშიდ), თეიმურაზი (თაჰმურასმ), ქაიხოსრო (ქაიხოსროვ) და სხვა, ოდითგანვე ქართულ ეროვნულ სახელებად ქცეულა. XII საუკუნემდე ქართული ლიტერატურა მოდიოდა **სასულიერო** ნაკადით, XII საუკუნიდან კი მის გვერდით ჩნდება მეორე ნაკადი – **საერო.**

თუ პირველ ნაკადზე გავლენა მოახდინა **ბერძნულმა სასულიერო** მწერლობამ, მეორეზე გავლენა იქონია **სპარსულმა საერო** ლიტერატურამ.

ორივე შემთხვევაში მოხდა ერის ფსიქოლოგიაში მათი შემოქმედებითად გადამუშავება, რის შედეგადაც, პირველ შემთხვევაში, მივიღეთ დიდი ქართული **სასულიერო,** ხოლო მეორეში – ასევე დიდი ქართული **საერო** მწერლობა.

სასულიერო მწერლობას ჩვენ არ ვეხებით. **საერო** მწერლობის აღმოცენება-განვითარება კი, ვფიქრობთ, უკავშირდება დავით აღმაშენებლის სახელს.

რომ არა დავით აღმაშენებელი

ჩვენი აზრით, რომ არა დავით აღმაშენებელი!

საქართველო იქნებოდა თურქ-სელჩუკთა სამფლობელოში შემავალი ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც სახელმწიფო და სალიტერატურო ენა იყო სპარსული.

ბუნებრივია, საქართველოშიც სახელმწიფო და სალიტერატურო ენა იქნებოდა სპარსული.

მაშინ მიღებული წესების თანახმად, შირ ანშაჰმა აღსათანმა უბრძანა ნიზამი განჯელს გაელექსა ლეილისა და მაჯნუნის სასიყვარულო ამბავი, ოღონდ არა თურქულ, არამედ **„მათთვის საკადრის ფარსულზე“.**

ნიზამიმაც ბრძანება ისე შეასრულა, რომ არაბული სამყაროს სამიჯნურო ამბავი მთელი სპარსულენოვან სამყაროს პოეტთა თავდავიწყების თემად იქცა და – არა მხოლოდ სპარსულენოვან სამყაროსი.

დღეს ლეილისა და მაჯნუნის ორასამდე პოეტური ვარიანტი არსებობს, მათ შორის ქართულ ლიტერატურაშიც, რომლის ძირისძირი სწორედ ნიზამის „ლეილი და მაჯნუნია“.

ისევე, როგორც შირვანშაჰმა უბრძანა ნიზამი განჯელის, გაელექსა ლეილისა და მაჯნუნის ამბავი არა თურქულ, არამედ „მათთვის საკადრის ფარსულზე“ (ორივეს მშობლიური ენა თურქულია), ასევე, საქართველოშიც, ვინმე სულთანი უბრძანებდა ვინმე მესხ მელექსეს, ექცია წყობილსიტყვად რომელიმე ამბავი, ოღონდ არა ქართულ, არამედ „მთთვის საკადრის ფარსულზე“ და, ვინ იცის, ისიც, არანაკლებ ნიზამი განჯელიზე, შეასრულებდა ბრძანებას.

მაგრამ დავით მეფემ, რამდენადაც პოლიტიკურად გადაუკეტა გზა სპარსულ ენას საქართველოში, იმდენად, შირვანის გავლით, რომელიც მაშინ სპარსული მწერლობის ცენტრს წარმოადგენდა, თარგმანის გზით, კულტურულად გაუხსნა კარი მასზე შექმნილ უდიდეს ლიტერატურას, რამაც დიდად განაპირობა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება, რომლის გვირგვინადაც იქცა „ვეფხისტყაოსანი“ – ნაზავი ისლამური და ქრისტიანული, ანუ აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციისა.

რომ არა საერო მწერლობის ასეთი ძლიერი პირველი პერიოდი (XIIს.), რომელიც ოქროს ხანადაა წოდებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში, საეჭვოა, იქნებოდა თუ არა მისი მეორე პერიოდი (XVI-XVIIIსს.) – ცნობილი ვერცხლის ხანად, როცა ისეთი მძიმე იყო სპარსული ენისა და ლიტერატურის ზეწოლა ქართულზე, რომ ქართველი პოეტი თეიმურაზ პირველი ამბობს: „სპარსული ენის სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“.

ეს კიდევ არაფერია მის მომდევნო ტაეპთან შედარებით: **„მძიმეა ენა ქართველთა, არ ძალმიძს მათებრ თხრობანი“** (თეიმურაზ პირველი, ქართული პოეზია თხუტმეტ ტომად, ტ. 3, გვ. 44, თბ., 1975).

ამ პოეტური სიტყვების ავტორი ხომ უკვე ცნობიერებით სპარსელია, რითაც ნათლად ჩანს თუ როგორ ეკიდა ბეწვზე ამ დროს ქართული სალიტერატურო ენის ყოფნა-არყოფნის ბედი.

თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საუკუნეებში მრავალი გამაჰმადიანებული ქართული წარმოშობის სპარსულენოვანი პოეტის მხატვრული ქმნილება ამშვენებს სპარსულ მწერლობას.

ამგვარად, რომ არა დავით აღმაშენებელი, XII საუკუნის საქართველოში საერო მწერლობა იქნებოდა სპარსულენოვანი და, საკითხავია, რომანტიკოსებამდე (XIXს.) საერთოდ გვექნებოდა თუ არა იგი.

მტერმა საქართველოსთან ამა თუ ომში შეიძლება გაიმარჯვოს, მაგრამ „ვეფხისტყაოსანთან“ ომში ვერასოდეს გაიმარჯვებს, რაც არანაკლებია დიდგორის გამარჯვებაზე.

ნომადი ბართაია.
2022 წ.

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის განმახორციელებელი უწყება: საქართველოს რეგიონული ჰანვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზები დეპარტამენტი
მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
დაფინანსების წყარო: მსოფლიო ბანკი
კახეთის სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესების პროექტი (KCIP)
სესხის No.: 9361-GE
კონტრაქტის დასახელება:თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საერთაშორისო გზის საგარეჯო - ბადიაურის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა
კონტრაქტის ნომერი: KCIP/CS/QCBS-01
შესყიდვის მეთოდი: ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შესყიდვა
კონტრაქტის ხანგრძლივობა: 56 თვე

შეფასებული კონსულტანტი(ები):
დასახელება: **Egis International in sub consultancy with Engineering Monitoring Group**
ამოკითხული ფინანსური წინადადება: 2,677,400 დოლარი და 3,900,608 ლარი
შეფასებული ღირებულება: 11,239,628.64 ლარი
შეწონილი ტექნიკური და ფინანსური ქულა: **83.99**
საბოლოო რანჟირება: 2

დასახელება: **IRD Engineering S.r.l**
ამოკითხული ფინანსური წინადადება: 2,607,000 დოლარი და 3,941,600 ლარი
შეფასებული ღირებულება: 11,087,647.70 ლარი
შეწონილი ტექნიკური და ფინანსური ქულა: **85.07**
საბოლოო რანჟირება: 1

დასახელება: **ერთობლივი საწარმო TEMELSU International Engineering Services Inc.; and DOHWA International CO., Ltd**.
ამოკითხული ფინანსური წინადადება: 3,526,000.00 დოლარი და 5,199,975.00 ლარი
შეფასებული ღირებულება: 14,869,093.60 ლარი
შეწონილი ტექნიკური და ფინანსური ქულა: **74.35**
საბოლოო რანჟირება: 5

დასახელება: **ერთობლივი საწარმო luslararasi Birlesmis Musavirler Musavirlik Hizmetleri A.S.(UBM); and SOOSUNG Engineering Co., Ltd. (SOOSUNG); and Korea Expressway Corporation (KEC)**
ამოკითხული ფინანსური წინადადება: 1,874,500.00 დოლარი და 5,001,960.00 ლარი
შეფასებული ღირებულება: 10,140,151.95 ლარი
შეწონილი ტექნიკური და ფინანსური ქულა: **83.26**
საბოლოო რანჟირება: 3

დასახელება: **Yuksel Proje A.S.**
ამოკითხული ფინანსური წინადადება: 2,396,260.00 დოლარი და 4,958,668.00 ლარი
შეფასებული ღირებულება: 11,527,056.29 ლარი
შეწონილი ტექნიკური და ფინანსური ქულა: **78.01**
საბოლოო რანჟირება: 4

გამარჯვებული კონსულტანტი:
დასახელება: **IRD Engineering S.r.l**
სახელშეკრულებო ღირებულება: **3,230,073.00 დოლარი და 4,883,642.40 ლარი გაუთვალისწინებელი ხარჯების და ადგილობრივი გადასახადების ჩათვლით.**

დისკვალიფიცირებული კონსულტანტი(ები): /არ არის

გამარჯვებული კონსულტანტის კომპანიის მესაკუთრეთა ფორმა, იხილეთ ქვემოთ მითითებულ ბმულზე:
https://www.dropbox.com/sh/wrid3c2atixrc1y/AACIDwRXrRrPS054pUEmn9Cla?dl=0

CONTRACT AWARD NOTIFICATION

The project implementing Agency: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Ave, Tbilisi, 0160, Georgia
Financing Source: World Bank
Kakheti Connectivity Improvement Project (KCIP)
Loan No.: 9361-GE
Contract Reference No.: KCIP/CS/QCBS-01
Scope of Services: Supervision of Construction Works for Sagarejo – Badiauri Section of Tbilisi – Bakurtsikhe – Lagodekhi International Road
Selection Method: Quality and Cost-Based Selection (QCBS)
Duration of Contract: 56 months

Evaluated Consultant(s):
Name: **Egis International in sub consultancy with Engineering Monitoring Group**
Financial Proposal as read out: USD 2,677,400 and GEL 3,900,608
Evaluated Price: GEL 11,239,628.64
Combined Technical and Financial Score: **83.99**
Final Ranking: 2

Name: **IRD Engineering S.r.l**
Financial Proposal as read out: USD 2,607,000 and GEL 3,941,600
Evaluated Price: 11,087,647.70 ????
Combined Technical and Financial Score: **85.07**
Final Ranking: 1

Name: **Joint Venture between TEMELSU International Engineering Services Inc.; and DOHWA International CO., Ltd.**
Financial Proposal as read out: USD 3,526,000.00 and GEL 5,199,975.00
Evaluated Price: GEL 14,869,093.60
Combined Technical and Financial Score: **74.35**
Final Ranking: 5

Name: **Joint Venture between UBM Uluslararasi Birlesmis Musavirler Musavirlik Hizmetleri A.S.(UBM); and SOOSUNG Engineering Co., Ltd. (SOOSUNG); and Korea Expressway Corporation (KEC)**
Financial Proposal as read out: USD 1,874,500.00 and GEL 5,001,960.00
Evaluated Price: GEL 10,140,151.95
Combined Technical and Financial Score: **83.26**
Final Ranking: 3

Name: **Yuksel Proje A.S.**
Financial Proposal as read out USD 2,396,260.00 and GEL 4,958,668.00
Evaluated Price: GEL 11,527,056.29
Combined Technical and Financial Score: **78.01**
Final Ranking: 4

Awarded Consultant:
Name **IRD Engineering S.r.l**
Contract Price: **USD 3,230,073.00 and GEL 4,883,642.40 inclusive contingencies and local indirect taxes.**

Rejected Consultant(s): None

For the Beneficial Ownership Disclosure Form of the Awarded Consultant, please refer to the link below:
https://www.dropbox.com/sh/wrid3c2atixrc1y/AACIDwRXrRrPS054pUEmn9Cla?dl=0

◎ მსოფლიო თასი

ალარც გვიკვირს

სპორტის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რას ნიშნავს, ვთქვათ, ჩოგბურთში მეტოქისათვის თუნდაც სამმაგი მატჩბოლის ამოქაჩვა, მაგრამ ის, რაც იტალიის ქალაქ პადუაში გამართულ მსოფლიოს თასზე ხმლით მოფარიკაველთა საერთაშორისო რეიტინგის ქართველმა ლიდერმა სანდრო გაზაძემ მეოთხედფინალურ ბრძოლაში გერმანელ მატიას სამოსთან მოახერხა, გაცილებით ძვირად ფასობს.

საუბარია ზედიზედ 9(!) მოპოვებულ ქულასა და 6:14-ის შემდეგ ზღაპრულ გამარჯვებაზე ანგარიშით 15:14. ტრადიციული პრესტიჟული ტურნირის 200-ზე მეტი მონაწილიდან ჩვენი სახელოვანი მუშკეტერი ერთ-ერთი ფავორიტი დამსახურებულად გახლდათ და მანაც გაცემული ავანსები, წლევანდელ სეზონში უკვე მეხუთედ, საპატიო კვარცხლბეკზე ასვლით გაამართლა, მათ შორის ბრინჯაოს მოხვეჭით – მესამედ, რასაც ორი ოქროც ემატება მსგავსი ასპარეზობებიდან.

სხვათა შორის, სანდრომ იმავე შედეგით მოუგო კორეელ გიეონგ დონგ გოს და წააგო ნახევარფინალი 21 წლის მასპინძელ მიჩელე გალოსთან, რომელმაც საბოლოოდ ყველას აჯობა, საწყის ეტაპებზე კი ორ უნგრელ მეტოქეს სძლია – 15:13 და 15:11.

◎ ალალ იყოს

ხელფასიც, სახლიც...

ხვიჩა კვარაცხელიამ ნეაპოლში საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა. ამის შესახებ ნეაპოლური ვებ-გვერდი Areanapoli იტყობინება.

წყაროს თანახმად, ქართველი ფეხბურთელი Via Tasso-ს პრესტიჟულ უბანში გადავიდა, მის სახლს კი 24-საათიანი დაცვა, პარკინგი და სხვა კომფორტული აღჭურვილობა აქვს. გარდა ამისა, კვარას სახლიდან შესაძლებელია ნეაპოლის ყურის ულამაზესი ხედით დატკბობა.

მოგეხსენებათ, რამდენიმე თვის წინათ კვარაცხელიას სახლიდან მანქანა მოიპარეს, რის შედეგადაც, მან სახლი შეიცვალა. თავდაპირველად კი სულაც სასტუმროში ცხოვრობდა.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელია „ნაპოლის“ გასული წლის ზაფხულში შეუერთდა და იტალიურ კლუბთან კონტრაქტი 2027 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

ამასობაში ტელეკომპანია RAI-ს ჟურნალისტმა ჩირო ვენერატომ განაცხადა, რომ ხვიჩა კვარაცხელია ხელფასის 2.5 მილიონ ევრომდე გაზრდას და კონტრაქტის ერთი წლით განახლებას დათანხმდა.

„ნაპოლი“ ხელფასების ჭერს 2.5 მილიონ ევრომდე დააწესებს. სწორედ ეს ციფრი შესთავაზეს ხვიჩა კვარაცხელიასაც და ქართველმა თავდამსხმელმა შეთავაზება მიიღო“, – თქვა ვენერატომ.

ამჟამად მისი ხელფასი სეზონში 1.2 მილიონი ევროა. განახლებული კონტრაქტი ძალაში 2028 წლამდე იქნება, ხოლო ხელფასი გაორმაგდება.

◎ რინგზე

9 ოქრო ლიეტუვიდან

ლიეტუვაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ახალგაზრდა ქართველმა მოკრივეებმა 9 ოქროს, 3 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

დანას პოზნიაქსის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც უკვე მეთვრამეტედ ჩატარდა ვილნიუსში, ცამეტი ქვეყნის 93-მა სპორტსმენმა იასპარეზა, რომელთა შორისაც ქართველებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს.

ჩემპიონები დავით ჯაფარიძე (თბილისი, 51 კგ), გორ აივაზიანი (ახალქალაქი, 54), ლევან დემუროვი (გორი, 57), გოჩა გორდულავა (ზუგდიდი, 63.5), დემურ ქაჯაია (ხობი, 67), შოთა ჯიქია (ფოთი, 71), გიორგი ნატროშვილი (თბილისი, 75), სამველ კაზარიანი (ახალქალაქი, 80) და ტარიელ შარიქაძე (ზესტაფონი, (92) გახდნენ, ვერცხლის მედლები კი ლუკა ბეშლიოღლიმ (ბათუმი, 51), საბა ერემეიშვილმა (ქუთაისი, 60) და ავთანდილ მდინარიძემ (გორი, 92) მოიპოვეს.

შალვა დუნდუას მიერ მომზადებული გუნდი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც 23 აპრილიდან 4 მაისამდე ერევანში მოეწყობა.

◎ ლეგიონერი

დაბრუნება ტიტულით

გიორგი კორსანტიამ მთელი გასული ფანჯრის პერიოდი საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებში გაატარა, თუმცა განაცხადში ვერ მოხვდა. მას ვირუსი შეეყარა და ნიდერლანდებში არ უვარჯიშია. შესაბამისად, მან ნაკრების თამაშები გამოტოვა. სამაგიეროდ, კლუბში დაბრუნებულმა თავი გამოიჩინა.

ჩრდილოეთ მაკედონიის ჩემპიონატში მისმა გოსტივარმა აკადემიას 87:79 სძლია, ქართველმა მძიმე ფორვარდმა კი 34 წუთში 17 ქულა, 17 მოხსნა (3 შეტევაში), 5 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. გიორგიმ 14-დან 8 ორქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ორქულიანი ააცილა, ბურთი 3-ჯერ დაკარგა, 4 პერსონალური ფოული მიიღო, მის წინააღმდეგ კი 6-ჯერ დაჯარიმდნენ.

შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 29-ს გაუტოლდა და ის მატჩის MVP-ს ტიტულის მფლობელი გახდა.

გოსტივარმა 10 მოგება და 6 მარცხი მოაგროვა და სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზეა, საპლეიოფო ოთხეულს კი მხოლოდ ერთი გამარჯვებით ჩამორჩება. კორსანტიას კლუბს მომდევნო თამაში 11 მარტს სტრუმიცასთან ელის.

ორიოდე სიტყვით

ფორუმი

გაპურიანი. მსოფლიო ჩემპიონატი. სკი-კროსი. ერთეულები. ქალები. სანდრა ნესლუნდი (შვედეთი). ვაუები. სიმონე დერომედისი (იტალია). შერეული გუნდები. ნესლუნდი და დევიდ მომაერგი (შვედეთი).

ჟიუდო

ტაშკენტის გრანდ სლემი. ბრინჯაო – გელა ზაალიშვილი (+100). შეგახსენებთ, რომ წინა დღეებში ორწლიანი შესვენების შემდეგ ოქროს ვარლამ ლიპარტელიანი დაეუფლა (100), ხოლო ვერცხლს – ეთერ ლიპარტელიანი (57).

გუნდურ ჩათვლაში მე-4 ადგილი დავიკავეთ იაპონიის, უზბეკეთისა და ავსტრიის შემდეგ. 24-26 მარტს მორიგ გრანდ სლემს თბილისი უმასპინძლებს.

კრივი

სოფია (გულგარეთი). „ა“ კატეგორიის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ბრინჯაო – ლუკა კუბლაშვილი (48), გიორგი ყუშიტაშვილი (86).

თავისუფალი ჭიდაობა

ალექსანდრია (ეგვიპტე). საერთაშორისო სარეიტინგო ტურნირი. ოქრო – ავთანდილ კენჭაძე (79). ბრინჯაო – გიორგი ელბაქიძე (70), ტარიელ გაფრინდაშვილი (86), მირიან მაისურაძე (92).

ავტორბოლა

ფორმულა – 1. გაჰრეინის პირველი ეტაპი. პოდიუმი: მაქს ფერსტაფენი (ნიდერლანდები), სერხიო პერესი (მექსიკა), ფერნანდო ალონსო (ესპანეთი).

◎ კორტზე

სამშობლოს სახელით

უკრაინელმა მარტა კოსტიუკმა, ოსტინში (ტეხასი)ATX-ის ღია პირველობის ფინალში, რუსი ვარვარა გრაჩევა 6:3, 7:5 დაამარცხა და კარიერაში პირველად დაეუფლა WTA-ს ტიტულს. მან ეს გამარჯვება თავის ქვეყანას და ყველა იმ ადამიანს მიუძღვნა, ვინც „იბრძვის და კვდება“.



თასის მიღების შემდეგ, 20 წლის კოსტიუკმა, ვინც ამ გამარჯვებამდე, რეიტინგში 52-ე ადგილზე იყო, განაცხადა: **„იმ პოზიციაში, რომელშიც ვიმყოფები, ამ ტიტულის მოგება, განსაკუთრებულია. მინდა, ის უკრაინას და ყველა იმ ადამიანს მივუძღვნა, ვინც ამ წუთებშიც იბრძვის და კვდება“.**

კოსტიუკმა ავსტრალიის ღია პირველობაზე განაცხადა, რომ საკვირველია, როდესაც ხედავს, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩის მამა, სრდიან ჯოკოვიჩი, ფოტოებს რუსული დროშის ფონზე იღებს, დროშის, რომელზეც პუტინის სახეა გამოსახული. მანვე აშშ-ის ღია პირველობაზე ასპარეზობისას, ბელარუს ვიქტორია აზარენკას ხელი არ ჩამოართვა.

◎ შემთხვევა

ეშმაკს არ სძინავს

თურქეთში მიმდინარე დახურულ ჩემპიონატზე ესპანელი მძლეოსანი, 22 წლის ენრიკე ლოპისი თარჯრბენის დროს თავით მძიმედ დაეცა, რის შედეგადაც ის საავადმყოფოში გახდა გადასაყვანი.

ლოპისს ბოლო ბარიერიც გადალახული ჰქონდა, როდესაც ჩონასწორობა დაკარგა და თავით დაეცა. რამდენიმე წამის განმავლობაში ის ბილიკზე უგონოდ იწვა, სანამ ექიმები არ მივიდნენ მასთან და დახმარება არ აღმოუჩინეს. ექიმები 5 წუთის განმავლობაში უტარებდნენ დახურული კარვის ქვეშ სამედიცინო დახმარებას ესპანელს, რა დროშიც არენაზე შეკრებილი გულშემატკივრები აბსოლუტური სიჩუმით ადევნებდნენ მომხდარს თვალს.

საბოლოოდ, ახალგაზრდა ესპანელ სპორტსმენს, რომელიც მედლის ერთ-ერთ კანდიდატად ითვლებოდა, კისერი დაუფიქსირეს, არენიდან საკაცით გაიყვანეს და სტამბოლის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოგვიანებით, ესპანეთის მძლეოსნობის ფედერაციამ ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომლითაც ცნობილი გახდა, რომ ლოპისი თავს კარგად გრძნობს და ყველას მადლობას უხდის მხარდაჭერისთვის.

თარჯრბენის რბოლის გამარჯვებული შვეიცარიელი ჯეისონ ჯოზეფი გახდა, მეორე ადგილზე კი პოლონელი იაკუბ შიმანსკი გავიდა. სწორედ ენრიკე ლოპისი უნდა გამხდარიყო ბრინჯაოს მედალოსანი ბოლო ბარიერის შემდგომ, თუმცა სამწუხაროდ, მას ასეთი რამ შეემთხვა.



კვალი დროში

ხალხის სიყვარულით სავსე ადამიანი და მოღვაწე

გურამ ჩიგოგიძე - 88

9 მარტს 88 წელი შეუსრულდებოდა ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, 1986 – 1991 წლებში აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რადიო ჰოლდინგ „ფორტუნა“-ს დამფუძნებელს და ქველმოქმედს **გურამ ჩიგოგიძეს.**

დაიბადა 1935 წელს ქ. თბილისში. ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლა, წარჩინებით დაამთავრა ასევე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა.

... 1980 წლის გაზაფხულის ერთ დღეს ბათუმში ბინის ტელეფონმა დარეკა... ბატონი გურამ ჩიგოგიძე იყო. მითხრა: – „ჯემალ, გავიგე, სამუშაოდ ადიგენის რაიონში გადაყავხართ“, მომილოცა და დაამატა, „ამ მეტად საინტერესო რეგიონის თავკაცობა დიდი პასუხისმგებლობაცაა, მისურვა წარმატებები და აღმითქვა ყოველმხრივი მხარდაჭერა. ბოლოს იკითხა, როდის ვაპირებდი ადიგენში გამგზავრებას, მითხრა „ტრანსპორტის პრობლემის შემთხვევაში მანქანას გამოგიგზავნი“ (ბატონი გურამი იმ დროს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა, ხოლო შემდგომ პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა). ეს ფაქტი არასოდეს მავიწყდება, რადგან იმ დროს ჩემდამი ასეთი ყურადღების გამოჩენა დიდი მხარდაჭერა იყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ ნამდვილი ადამიანები გაჭირვებაში არასოდეს მიგატოვებენ.

ბატონი გურამ ჩიგოგიძე თავისი ადამიანურობით, შრომისმოყვარეობით, საქმის სიყვარულით, განსაკუთრებული მოვლენა იყო ამ წუთისოფელში. იგი მეტად განსწავლული, ჭკვიანი, ტაქტილ მოუბარი და თავაზიანი ადამიანი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მას ქალაქ ბათუმისა და აჭარის რაიონების, ცალკეული შრომითი კოლექტივების მრავალი საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა უწევდა, ვერასოდეს ნახავდით აღელვებულს, მწყობრიდან გამოსულს, ხმამაღლად მოლაპარაკეს. იგი გამოირჩეოდა ურთიერთობისა და საუბრის თავისებური მანერით, ტონით, დიქციაც კი განსაკუთრებული და დამამშვიდებელი ჰქონდა. არ მახსოვს, მას ოდესმე ხმა აემაღლებინოს და ტაქტისათვის ელალატოს.

ამ კეთილშობილური თვისებებით იგი ირგვლივ მყოფთა და საერთოდ საზოგადოების სიმპათიას იწვევდა, შესაბამისად, მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. გურამ ჩიგოგიძისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ ხელისუფლებაშიც.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავკაცს, ცნობილ მეცნიერს, გამორჩეულ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძეს (და არა მარტო მას) პირად საუბარში არერთხელ უთქვამს, რომ „გურამ ჩიგოგიძე ნიჭიერი, მეტად კომუნიკაბელური, სამართლიანი და კარგი ორგანიზატორი, ჩემი ერთგული მეგობარი და თანამებრძოლია“, ამ თვისებებით იგი მართლაც შეუდარებელი და გამორჩეული იყო.

1979 წლის შაბათი დღეა. ბათუმს სტუმრობდა ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ - პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე სოლიკო ხაბეიშვილი, სტუმრებმა ზღისპირა პარკის დათვალიერება გადაწყვიტეს. როცა უნივერსიტეტთან, ზღვის მხარეს ერთ-ერთ მშენებარე ობიექტს ჩავუარეთ, ბატონმა ვახტანგ პაპუნიძემ შენიშნა, რომ ამ უცნაურ და საინტერესო არქიტექტურულ ნაგებობას, რომელიც ახალგაზრდობის დასვენებისთვის არის განკუთვნილი, ჯერჯერობით სახელი ვერ მოვუნახეთო. ბატონმა სოლიკომ ყურადღებით დაათვალიერა ნაგებობა, რომლის მშენებლობაც უკვე თითქმის დასრულებული იყო, თქვა, რომ ამას სახელად „ფანტაზია“ მოუხდებაო. მას ყველა დაეთანხმა და ეს სახელი შერჩა დღემდე ბათუმელებისა და ჩამოსული სტუმრების დასვენებისა და გართობის ამ მშვენიერ ობიექტს. მის მშენებლობას კი პირადად ბატონი გურამი ხელმძღვანელობდა.

აქვე მინდა გავიხსენო და სასიამოვნოდ აღვნიშნო, რომ ამ საქმიანი გასეირნების დროს ჩვენთან იყო აჭარის, ხოლო ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში, საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, უაღრესად ერუდირებული, კეთილშობილებითა და ღირსებით გამორჩეული გენერალი ოთარ ხატიაშვილი, რომელმაც თავის დროზე არაერთი საინტერესო სახე შექმნა ქართულ კინოფილმებში.

კიდევ ერთი გახსენება... ეს იმ პერიოდს ეხება, როცა აჭარიდან მცირემიწიანი, ჭარბი მოსახლეობის განსახლებაზე ვმუშაობდით და საფუძველი ეყრებოდა ადიგენის რაიონში მოსახლეობისაგან დაცლილი სოფლების აღდგენა-განაშენიანებას. ეს საკითხი საკმაოდ შრომატევადი გახლდათ. საჭირო იყო მოსახლეობისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, მიწების გამოყოფა, ხვნა-თესვის ორგანიზება, საცხებ-საპოხი მასალებით უზრუნველყოფა. ეს საკითხები კი ბატონი გურამის გამუდმებულ ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. ადიგენის რაიონის მოსახლეობა კი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა.

შემთხვევითი არ იყო, რომ ამ პერიოდში ადიგენის რაიონს სტუმრობდნენ და ყოველმხრივ გვეხმარებოდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები – ედუარდ შევარნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, თენგიზ მენთეშაშვილი, გურამ ენუქიძე, ვახტანგ პაპუნიძე, ნუგზარ საჯაია, გურამ ჩიგოგიძე, მერაბ ქაჯაია და სხვები.

ერთ-ერთი სტრუმრობისას მათ დაათვალიერეს ახლად აღდგენილი სოფლები – ტყის უბანი, ჭელა, ჭეჭლა, ზაზალო. მოინახულეს ზარზმის ეკლესია, ბოლოს კი აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას ესტუმრენ. ობსერვატორიაში მასპინძლობას უწევდა ობსერვატორიის დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მართლაც დიდებული პიროვნება ბატონი ევგენი ხარაძე.

ბატონ გურამ ჩიგოგიძეს ეკუთვნის აჭარაში მოწეული ციტრუსოვანთა ნაყოფის დიდი ხნით შენახვის იდეა. ამ საქმეს ის ბათუმის ციტრუსკომბინატის ხელმძღვანელობასთან, პირადად კომბინატის მაშინდელ დირექტორთან, აკადემიკოს გურამ პაპუნიძესთან ერთად აკეთებდა. მეთოდი კი იმაში გამოიხატებოდა, რომ დაკრეფილი ციტრუსის ნაყოფის გოგირდის კვამლით შებოლვა ხდებოდა. ნაყოფი თავს დიდხანს ინახავდა და მისი თანდათან გადამუშავება საკმაოდ მაღალ ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდა.

გასული საუკუნის 90 - იანი წლების დასასრულს გურამ ჩიგოგიძემ თავისი საქმიანობა ძირითადად ქართული რადიომაუწყებლობის სფეროს დაუკავშირა. მან 1998 წელს, ამერიკელ პარტნიორებთან, „მეტრომედია ინთერნეშენალთან“ ერთად დააარსა რადიო „ფორტუნა“, მალე მისი ინიციატივით შეიქმნა დღეს ისეთი პოპულარული რადიოსადგურები, როგორებიცაა „ფორტუნა პლუსი“, „არ დაიდარდო“ და „ავტორადიო“. მოგვიანებით კი ჰოლდინგს მუსიკალური ტელევიზია „მიუზიქ ბოქსიც“ შეემატა.

დიდია გურამ ჩიგოგიძის დამსახურება აჭარის და მისი მოსახლეობის წინაშე, რასაც 16-წლიანი მოღვაწეობა მიუძღვნა. მან თანამებრძოლებთან ერთად ბევრი რამ გააკეთა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, აქაურთა ცხოვრების დონის ამაღლებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოში გურამ ჩიგოგიძის ძალისხმევით, ჯერ კიდე ათეისტური პერიოდიდან დაწყებული, მოხერხდა არაერთი საეკლესიო ნაგებობის აღდგენა – რესტავრაცია და მისი მატერიალურ ტექნიკური ბაზით განმტკიცება.

გურამ ჩიგოგიძესთან აჭარაში ერთობლივი საქმიანობის მრავალი წელი მაკავშირებდა. ბევრიც მაქვს გასახსენებელი, თუმცა საგაზეთო სტატიის ფორმატი მისი პიროვნებისა და დამსახურების შესახებ შედარებით სრულყოფილი მასალის წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა.

გურამ ჩიგოგიძე 84 წლის ასაკში, 2019 წლის 10 თებერვალს წავიდა ამ ქვეყნიდან. გულწრფელად შეიძლება ითქვას, რომ იგი დააკლდა არა მარტო ოჯახსა და ახლობლებს, არამედ მთელ ჩვენს საზოგადოებას, ქვეყანას.

და ბოლოს, როცა გურამ ჩიგოგიძის ცხოვრებას, მის მიერ განვლილ გზას და საქმიანობას ვაანალიზებ, ვრწმუნდები, რომ, რა სამსახურშიც არ უნდა საქმიანობდე, რა დავალებასაც არ უნდა ასრულებდე, ყოველთვის შეიძლება დარჩე პატიოსან, ღირსეულ და ხალხისთვის მეტად საყვარელ ადამიანად:

მის სახელსა და საქმეს დავიწყება არ უწერია...

ჯემალ ნაკაშიძე,
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარე 1993-94 წლებში.

გურამ და ბენო ქაშაკაშვილები იუწყებიან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსის, გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, ქალაქ რუსთავის საპატიო მოქალაქის

ვასილ მინას ძე მეტრეველის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ქალიშვილს მაია მეტრეველს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს და ოჯახის სხვა წევრებს.

დაკრძალვა 9 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: რუსთავი, დონეცკელი მეტალურგების სახლი.

ვაჟა მეტრეველი ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდებული მამულიშვილი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-ენერგეტიკოსი

ვასილ მინას ძე მეტრეველი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

ბიზნესმენის დაჭრაში ეჭვმიტანილი დააკავეს

თბილისში, მეტროსადგურ დელისთან მდებარე ბიზნესცენტრის ეზოში ბიზნესმენის დაჭრაში ეჭვმიტანილი პირი პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული გ.ბ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა შენახვა-ტარების ბრალდებით, ცხელ კვალზე, თბილისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 6 მარტს, 1973 წელს დაბადებულ ა.გ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.ბ., მომხდარიდან მალევე დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“...

რა ღირს კინო თბილისსა და მსოფლიოს ქალაქებში?

საშუალო განვითარების ქვეყნებში კინოს ბილეთის საშუალო ფასი 8 დოლარია. საქართველოში კინოს ბილეთი 10-დან 19 ლარამდე ღირს.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა ღირს კინოს ბილეთები მსოფლიოს დიდ ქალაქებსა და ახლო სამეზობლოში.

აშშ-ში დღის სეანსები 10-12 დოლარი ღირს, საღამოს სეანსები – 15-20 დოლარი;

პარიზში – 12 ევრო;

დიდ ბრიტანეთში – 7.5 ბრიტანული გირვანქა;

ჩინეთში – 91.5-დან 138.5 იუანი (34.5-დან 52 ლარამდე);

იაპონიაში – 500-დან 1500 იენამდე (9.5-დან 25.5-მდე ლარი);

ინდოეთში – 650-დან 850 რუპიამდეა, (20-დან 26 ლარი). 2023 წლის ყველაზე შემოსავლიანი ფილმი Avatar: The Way of Water-ის ბილეთის ფასი თბილისის კინოთეატრებში 10-დან 16 ლარამდეა; იგივე ფილმი ნიუ იორკის კინოთეატრ iPic Theaters-ში 11.5-დან 25 დოლარამდე ღირს, პარიზში – 11.9-დან 15.9 ევრომდე.



რაც შეეხება მეზობლებს - რუსეთში კინოს ბილეთის საშუალო ფასი 331 რუბლია (11.5 ლარი), აზერბაიჯანში 5-დან 30 მანათამდე (7.5-46 ლარი), სომხეთში – 3500 სომხური დრამი (23,3 ლარი).

ამ მცირე მოკვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართველ სინეფილებს არა მხოლოდ ნიუ იორკელებზე, პარიზელებსა და ლონდონელებზე ნაკლების გადახდა გვიწევს სასურველი ფილმის სანახავად, არამედ რეგიონშიც ყველაზე იაფია ჩვენთან კინოს ბილეთი.

ანტარქტიდაში ყინულის ფართობის მცირდება

ანტარქტიდის გარშემო ზღვის ყინულის საფარის ფართობი 1,79 მილიონ კვადრატულ კილომეტრამდეა შემცირებული, რაც თანამგზავრიდან დაკვირვების 44-წლიანი ისტორიის განმავლობაში მინიმალური მაჩვენებელია.

ყინულის საფარი სეზონის მიხედვით იცვლება: მაქსიმუმს მისი მაჩვენებელი სექტემბერში აღწევს, როდესაც სამხრეთ ნახევარსფეროში ზამთარი სრულდება, მინიმუმამდე კი თებერვლის ბოლოს ან მარტში, ზაფხულის დასრულების შემდეგ დადის. მეცნიერების თქმით, ყინულის საფარის მინიმალური მაჩვენებელი ბოლო 6 წლის განმავლობაში უკვე მესამედ დადასტურდა. მათი განმარტებით, ანტარქტიდის გარშემო ზღვის ყინულის დნობა კონტინენტის შელფურ მყინვარებზე ახდენს გავლენას, რომელთა დნობაც მსოფლიო ოკეანის დონის მატებას გამოიწვევს. ყველაზე დიდ საფრთხეს კი ამუნდსენის ზღვაში მდებარე ტუეიტსის მყინვარი წარმოადგენს. მისი სრული დადნობის შემთხვევაში, მსოფლიო ოკეანეში წყლის დონე ნახევარი მეტრით მოიმატებს.

ბრაიანტის ქვრივი მოულოდნელად გამდიდრდა

NBA-ის ვარსკვლავის, კობი ბრაიანტის ქვრივი ვანესა ბრაიანტი ლოს-ანჯელესის ოლქისგან 428.5-მილიონიან კომპენსაციას მიიღებს, 2020 წელს ავიაკატასტროფის ადგილზე კალათბურთელის ცხედრისთვის გადაღებული ფოტოების უნებართვოდ გავრცელების გამო.



ამ თანხაში შედის 415-მილიონიანი კომპენსაცია, რომელიც ვანესა ბრაიანტს გასული წლის აგვისტოში, სამოქალაქო სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მიენიჭა. შეგახსენებთ, ვერტმფრენი, რომლის ბორტზეც „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ 41 წლის ვარსკვლავი და მისი ქალიშვილი შვიდ ადამიანთან ერთად იმყოფებოდნენ, 2020 წლის 26 იანვარს კალიფორნიაში, კალაბასასში ჩამოვარდა.

თურქეთში მიწისძვრამ 46 ათასი ადამიანი შეიწირა

ერთი თვის შემდეგ სტიქიური უბედურების ზონიდან სამი მილიონი ადამიანია ევაკუირებული. მათი ნაწილი ახლომდებარე სოფლებში გადაიყვანეს. უახლოეს ხანში ასევე იგეგმება კონტეინერების ქალაქების ფართობის გაზრდა, სადაც უსახლკაროდ დარჩენილები დროებით შეაფარებენ თავს.

ამასთან, თურქეთის ლიდერმა თქვა, რომ სტიქიის შედეგად ნგრევა იმდენად მასშტაბური იყო, რომ ხელისუფლებამ საკმარისად სწრაფად რეაგირება ვერ მოახერხა, თუმცა, ერდოღანის თქმით, მთავრობა არ შეუშინდა სირთულეებს და სამაშველო ოპერაცია რამდენიმე საათში გააააქტიურა. ამავე გამოსვლის დროს, თურქეთის პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ დაზარალებული რეგიონების მოსახლეობისთვის საცხოვრებელი სახლები ერთი წლის განმავლობაში აშენდება.



მოსწავლე გოგონების მოწამვლაში დამნაშავეები უნდა დაისაჯონ

ირანის სულიერი ლიდერი აიათოლა ალი ხამენეის თქმით, სკოლის მოსწავლე გოგონების მოწამვლაში დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. ხამენეიმ აღნიშნულ დანაშაულს უპატიებელი უწოდა. ნოემბრიდან დღემდე ირანში 1000-ზე მეტი სკოლის მოსწავლე გოგონა უცნობი დაავადებით მოხვდა საავადმყოფოებში. მსგავსი ინციდენტები მხოლოდ გასულ კვირას 15 ქალაქში დადასტურდა. სულ კი მოწამვლის ფაქტები აღირიცხა ირანის 25 პროვინციაში მდებარე 127 სკოლაში.

„თუ არსებობენ ამაში ჩართული ადამიანები, და ასეთები ნამდვილად არიან, ორგანიზატორები უნდა დაისაჯონ უმკაცრესად“, – განაცხადა ირანის სულიერმა ლიდერმა. მთავრობამ მომხდარში ირანის მტრები დაადანაშაულა, რომლებიც ამ გზით ცდილობენ, შეარყიონ ირანის სასულიერო წრეები. ზოგიერთ ირანელს მიაჩნია, რომ გოგონების მოწამვლა ირანში სექტემბრიდან აგორებულ საპროტესტო ტალღას უკავშირდება, რაშიც წამყვანი როლი ქალებმა შეასრულეს. მოქალაქეების ნაწილს მიაჩნია, რომ მოწამვლით გოგონებს აქციებში მონაწილეობისთვის სჯიან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟანჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

მოლდოვურ ენას რუმინულით ანაცვლებენ

მოლდოვის დედაქალაქში სახელმწიფო ენის სახელწოდების შეცვლას აპროტესტებენ. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, დემონსტრაცია სოციალისტური პარტიის მხარდამჭერების მიერ არის ორგანიზებული.

მომიტინგეები მოლდოვის პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებულ კანონს არ ეთანხმებიან, რომელიც კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის სახელწოდებად „მოლდოვურის“ ნაცვლად „რუმინულის“ დაფიქსირებას ითვალისწინებს. აქტივისტები სკანდირებენ სლოგანებს „ჩვენ მოლდოველები ვართ“, „პატივი ეცით კონსტიტუციას“. აქციაზე სიტყვით გამოვიდნენ სოციალისტური პარტიის წევრი დეპუტატებიც. მათ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს აბსურდული უწოდეს. ისინი ითხოვენ, რომ სახელმწიფო ენის სახელწოდების შეცვლის შესახებ საკითხი რეფერენდუმზე გადაწყდეს.

სოციალისტური პარტიის მიერ ორგანიზებული აქციის პარალელურად, მოლდოვის საკონსტიტუციო სასამართლოს შენობასთან კონტრაქციაც იმართება. 28 თებერვალს მოლდოვის პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომელიც სახელწოდება „მოლდოვური ენის“ „რუმინულით“ ჩანაცვლებას ითვალისწინებს. პროექტის მიხედვით, ნებისმიერ კანონში არსებული ისეთი სიტყვათშეთანხმებები, როგორებიცაა „მოლდოვური ენა“ „ოფიციალური ენა“ „მშობლიური ენა“ უნდა ჩანაცვლდეს „რუმინული ენით“.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 10 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6009; ევრო - 2.7680;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1234;
100 რუბლი - 3.4492; თურქული ლირა - 0.1376;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5324;
1000 სომხური დრამი - 6.6897

ამინდი 8 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+3
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+16
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge